[illegible] ყველა ქვეყნის მუშაკნო!

კომუნისტი

წელიწადი მეოთხე

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქართველოს კომ.
ორგანო

25 იანვარი
ოთხშაბათი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუპენშტეინის ქ., № 4 რედაქცია ღია ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 10-დან 5-ს.
ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14-76 მდივნის № 19 საერთო №

19 ოთხშაბათი, 25 იანვარი 1922 წ. ყოველდღიური გ ზეთი ოთხშაბათი, 25 იანვარი 1922 წ. № 19

პარტიული ყრილობა

თერთმეტი თვის ლეგალური მუშაობის შემდეგ მისთვის ჯერ კიდევ უჩვეულო—ქვეყნის მესვეურის, მმართველი პარტიის—როლში, შეიკრიბა ჩვენი პარტია პირველ ლეგალურ ყრილობაზე მდგომარეობა მისი, როგორც ქვეყნის ხელმძღვანელის, თვით ამ ერთი ფაქტით ცხად ჰყოფს განუზომელ მნიშვნელობას ამ ყრილობისას. თუ წინათ ძველი ბატონების დროს ის გამოდიოდა როგორც მოწინააღმდეგე, „დამაქცევარი“ მაშინ არსებულის და ამიტომ მისი ბრძოლის გზა, თუმცა ძნელი და ნარ ეკლიანი, მარტივი იყო შედარებით, მარტივი იმ აზრით როგორც ამას ჩვეულებრივ ვამბობთ ხოლმე, როდესაც ძალაში შედის იარაღის მარტივი ენა გაშლილ ბრძოლებში, დღეს, მას შემდეგ, რაც პარტიას უხდება უმეტეს ნაწილათ არა რღვევა, არამედ შენება და ისიც შენება ახლის, ჯერ კიდევ არ ნახულის—ასეთ პირობებში ამოცანები პარტიის გაასკეციებულათ გართულებულია და სრულიათ საძართლიანათ გაუსვა ამ მომენტს ხაზი ამხ. სერგო ორჯონიკიძემ, რომელიც მიესალმა ყრილობას რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მისი კავკასიის ბიუროს სახელით.

ამნაირათ სრულიათ განსაკუთრებული როლი პარტიის, როგორც ქვეყნის მმართველის და ისიც დღევანდელ შინაურ ეკონომიური მდგომარეობისა და მის საგარეო ურთიერთობათა სპეციფიკურ პირობებში, აშკარათ ხდიან მთელ მნიშვნელობას დღეს მიმდინარე ყრილობისას და ეს ჰპოულობს. ნათელ გამოხატულებას დღის წესრიგის იმ კითხვებში, რომლებიც უნდა გაარჩიოს და გადასჭრას მან და რომლებიც ეხებიან გამოუკლებლივ ყველა მხარეებს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებისას, როგორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ სფეროებში, მათი მრავალ ფეროვანი და მრავალ მხრივი დარგებით.

ეს მნიშვნელობა ყრილობის ღრმად შეგნებული აქვთ ყველა დელეგატებს როგორც ცენტრიდან, ისე პერიფერიებიდან და ის შედარებით მრავალრიცხოვანობა დამსწრეების, რომლებიც წარმოადგენენ ქვეყნის ყველა ნაწილებს, მათი ღრმა ინტერესი და შეუწყვეტლად აქტიური, შეუნელებელი ყურადღება, რომლითაც ისინი ეკიდებიან ყველა კითხვებს, რა გინდ წვრილმანი არ იყვნენ ისინი, ზედმეტად ადასტურებენ იმ შეხედულებას პარტიულ სიეზდზე, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ.

აშკარაა, რომ ეს განსაკუთრებული ინტერესი ყრილობის მუშაობისადმი, შეგნება უაღრესი პასუხისმგებლობის არა მარტო აწმყოსა და მომავალის მიმართ, არამედ იმ დაღუპულების ხსოვნის მიმართაც წარსულ ბრძოლებში, რომელთა მეოხებით ჩვენი პარტია გახდა მემკვიდრე ქვეყნის, თავდებია მისი, რომ რევოლიუციონური კლასის ავანგარდი, მედროშე ჩვენი ქვეყნის მშრომელი მასების, გამოვა პირველი ლეგალური პარტიული ყრილობიდან განმტკიცებული, მომავალი ბრძოლისა და შემოქმედებისათვის შედეგებული რიგებით, გასაკეთებელი დიდი საქმის ნათელი შეგნებით და სავალი გზის გარკვეულად წარმოდგენით.

საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი ყრილობა

საზეიმო სხდომა

23 იანვარს, თბილისში, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში, საზეიმო სხდომით გაიხსნა საქართველოს კომუნისტური პარტიის **პირველი ლეგალური ყრილობა**.

ყრილობა გახსნა პარტიის გაჭალარებულმა ბელადმა ამხ. **ფილიპე მახარაძემ**.

პირველ ყოვლისა მან მოახსენა ბრძოლაში დაღუპულები და მოუწოდა ყრილობას ფეხზე ადგომით პატივი ეცა მათი ხსოვნისთვის. მისალმების შემდეგ რუსეთის კომპარტიის, კომინტერნის, რუსეთის წითელი არმიისა და კავკასიის ცალკე არმიის, აღერბეიჯანის და სომხეთის კომპარტიებისადმი, ის გადავიდა განვლილ ბრძოლაზე და თავის სიტყვაში დაასურათა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცხოვრების და მოღვაწეობის ეტაპები უკანასკნელი 4—5 წლის განმავლობაში.

აღნიშნა რა, რომ საქართველო იყო ყოველთვის ბუდე მენშევიზმის, რომელიც თამაშობდა დიდ პოლიტიკურ როლს თვით რუსეთის მოძრაობაშიაც საზოგადოთ ამხ. ფილიპემ დაახასიათა მენშევიკური მთავრობა მისი მეფობის დროს საქართველოში. ეს იყო ხანა მენშევიკების უსასტიკესი ბრძოლის საქართველოს მუშებსა და გლეხებთან, რომლებიც ადგენ მათ წინააღმდეგ კომუნისტური პარტიის მეთაურობით; ეს იყო ხანა კომუნისტების უსასტიკესი დევნის. პარტია შეიქნა მომწყვდეული ჯურღმულში და მის რიგებიდან სწიწკნიდა თეთრგვარდიელი მენშევიკური მთავრობა საუკეთესო მუშაკებს.

მენშევიკების ბატონობის დროს კომუნისტური პარტია მთელ თავის ძალასა და ღონეს მიმართავდა მუშათა და გლეხთა მტრების ჩამოსაგდებათ.

წითელი არმიის დახმარებით მუშებმა და გლეხებმა დაანგრიეს მენშევიკური რეჟიმი და კომუნისტური პარტია არალეგალურიდან შეიქნა მმართველ პარტიათ.

ქვევით ამხ. ფილიპემ აღნუსხა ის შესაძლებლობანი და მორიგი ამოცანები, რომლებიც უძევს წინ პარტიას და რომლებიც მან უნდა გადაჭრას.

ამხ. ფილიპემ დაათავა მხურვალე ტაშით დაფარული თავისი სიტყვა ენერგიული, თავგანწირული ბრძოლისადმი მოწოდებით მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს აღმშენებლობითი მუშაობისათვის.

მისალმებანი ძმური პარტიებისაგან

რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მისი კავკასიის ბიუროს სახელით ყრილობას ესალმება

ამხ. სერგო ორჯონიკიძე,

რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოს კომუნისტური პარტია წინად იყო მუშათა და გლეხთა ძალაუფლებისათვის ბრძოლის პარტია, დღეს ის არის შრომის პარტია, პარტია აღმშენებლობისა.

„თქვენ იცოდით, როგორ უნდა გებრძოლათ იარაღით ხელში—ამბობს ამხ. სერგო—თქვენ შესძელით კისერი მოგეგრიხათ მენშევიკური მთავრობისათვის, მაშ მოახერხეთ იმუშაოთ და ააშენოთ მუშურ-გლეხური სახელმწიფო ისეთივე წარმატებით, როგორც თქვენ იბრძოდით იარაღით ხელში“.

აზერბაიჯანის კომპარტიის სახელით ყრილობას ესალმება

ამხ. ნარიმანოვი.

ამხ. ნარიმანოვი ამბობს, რომ კომუნისტური პარტია ამიერ-კავკასიაში სულ უფრო და უფრო მაგრდება. ძალა მისი იხატება იმ ერთიანობაში, რომელიც სუფევს ამიერ-კავკასიის ძმურ კომუნისტური პარტიათა შორის.

საბჭოთა ძალა-უფლებამ მოუტანა ეროვნული მშვიდობიანობა ამიერ-კავკასიის ხალხებს. კომპარტიების ამოცანაა, კიდევ უფრო გააღრმაოს მშრომელთა ეს ერთიანობა.

სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მისასალმებელ სიტყვას ამბობს

ამხ. მანკინიანცი,

რომელიც გამოსთქვამს თავის სიხარულს საქართველოს კომუნისტური პარტიის ზრდის გამო.

ყრილობა სიამოვნებით ხვდება ირანის კომპარტიის წარმომადგენელს **ამხ. ჰაჩიდ სულთანოვს,** რომელიც თავის მისალმებაში ამბობს, რომ მაშინ როდესაც საქართველოს კომპარტია აშენებს თავის მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს, ამ დროს სპარსეთის კომუნისტური პარტია განიცდის მხეცურ დევნას შახის მთავრობის მხრით მაგრამ მოვა დრო—ამბობს ამხ. ჰამიდი—როდესაც სპარსეთის კომპარტია ძმური პარტიების დახმარებით დაანგრევს შახის ძალაუფლებას და დაამყარებს სპარსეთში საბჭოთა წესწყობილებას.

ირანის კომპარტიის წარმომადგენელის შემდეგ კრებას ესალმება **ოსმალეთის კომპარტიის** წარმომადგენელი, რომელსაც ყრილობა ხვდება ოვაციით.

ორატორი ამბობს მუშებისა და გლეხების რევოლიუციონური ბრძოლის გამოცოცხლებაზე ოსმალეთში. ისინი იმედებით იყურებიან საბჭოთა რესპუბლიკების კომუნისტური პარტიებისაკენ და ელიან მათგან დახმარებას.

მისალმება წითელი არმიისაგან.

კავკასიის ცალკე არმიის სახელით ყრილობას ესალმება **ამხ. ლისოვსკი.**

მე ვესალმები ჩვენ ყრილობას—ამბობს ამხ. ლისოვსკი—მე ვამბობ ჩვენს ყრილობას, რადგან წითელმა არმიამ თფილისის მიდამოებში, სამხედრო ბრძოლის დროს, მჭიდროთ შეუდუღა თავის რიგები რიგებს კომუნისტური პარტიისას.

კომუნისტური პარტიის ამოცანაა ააშენოს ძლიერი მუშურ-გლეხური სახელმწიფო, რომელიც იქნება მისთვის მაგარი და იმედიანი ზურგი, რომელზედაც დაყრდნობით წითელი არმია შეასრულებს თავის ისტორიულ როლს, ათავებს ამხ. ლისოვსკი.

საქართველოს პროფკავშირების საბჭოსაგან ყრილობას მიესალმება ამხ. ლადო დუმბაძე და კომკავშირისაგან ამხ. დევდარიანი.

შემდეგ მხურვალე ტაშის ცემით იღებენ წინადადებას, გაეგზავნოს მისალმება ამხ. ლენინს, მიხა ცხაკაიას, რუსეთის კომპარტიის ცეკას, კომინტერნს. ყრილობის საპატიო თავმჯდომარეთ არჩეულ იქნენ ამხ. ლენინი, ტროცკი, ზინოვიევი, სტალინ, ჯუღაშვილი, მიხა ცხაკაია, ნარიმანოვი და კიროვი.

არჩევნები.

მისალმებით გათავდა საზეიმო ნაწილი სხდომის. შემდეგ ყრილობა გადადის თავის მუშაობის საქმიან ნაწილზე. არჩეულ იქნა პრეზიდიუმი, სეკრეტარიატი, კომისიები: სამანდატო და სარედაქციო.

ყრილობის პრეზიდიუმის შემადგენლობა:

ამხ. ფ. მახარაძე, ს. ორჯონიკიძე, ა. გეგეჭკორი, თ. ალანდაძე, ლადო დუმბაძე, მ. ოკუჯავა, ეშბა, ს. თოდრია, პარმენ ციწკაძე, ლისოვსკი, სამსონ მაძულია, პ. საბაშვილი, მაჩაიძე, თ. ჟღენტი, დ. ნასარიძე.

სეკრეტარიატში ამორჩეული არიან: ამხ. არჩილ გიორგაძე, პარმენ წულუკიძე და რუბენი; სამანდატო კომისიაში: ამხ. გრ. მახარაძე, დოლიძე, დ. აფციაური.

სარედაქციო კომისიაში ამხ. რუდაკოვი, ნ. კიკნაძე და მ. კახიანი.

ყრილობამ გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშები:

ამხ. ლენინს

მოსკოვი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი ლეგალური ყრილობა უგზავნის მხურვალე სალამს მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის დიდ ბელადს და იძლევა მტკიცე აღთქმას, ჩაუნერგოს კომუნიზმის და საბჭოთა ხელისუფლების იდეები საქართველოს მშრომელთა მასსებს, რომლებიც იტანჯებოდნენ მთელი საუკუნის განმავლობაში ცარიზმის უღელქვეშ და იწამლებოდნენ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მენშევიკების მიერ შოვინისტური შხამით.

ამხ. მიხა ცხაკაიას.

მოსკოვი.

თბილისში 23 იანვარს შეკრებილი ყრილობა საქართველოს კომპარტიის, ამოგიჩრიათ რა თქვენ საპატიო თავმჯდომარეთ, ესალმება თქვენი სახით კავკასიის რევოლიუციონური მოძრაობის ერთ პიონერთაგანს და გისურვებს თქვენ დიდხან სიცოცხლეს მსოფლიოს მშრომელთა საკეთილდღეოთ.

კომინტერნის აღმასკომს

მოსკოვი.

საქართველოს კომპარტიის პირველი ყრილობა ესალმება მსოფლიო რევოლიუციის მებრძოლ შტაბს, კომინტერნს.

დადგა რა კომინტერნის დროშის ქვეშ, როგორც ერთი მებრძოლი რაზმთაგანი, საქართველოს კომპარტია ფიცსა სდებს, რომ მას აღმართული ეკავება მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის წითელი დროშა და შემოიკრებს დიდი დროშის ქვეშ საქართველოს მშრომელთა მასებს.

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას.

გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს.

რუსეთის კომპარტიის ცეკას

მოსკოვი.

23 იანვარს თფილისში შეკრებილი პირველი ყრილობა საქართველოს კომპარტიის უგზავნის თქვენის სახით სალამს რუსეთის მუშათა კლასს. საქართველოს კომპარტია ყოველთვის იკრებდა და მომავალშიაც მოიკრებს რევოლიუციონურ ენერგიას რუსეთის კომპარტიის გმირულ ბრძოლაში, იმ კომპარტიის, რომელიც არის მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ავანგარდი. მხარი-მხარ შედუღებული, ხელი ხელ ჩაკიდებული, საქართველოს კომპარტია ივლის მომავალი გამარჯვებისაკენ კომუნიზმის საერთო დროშის ქვეშ.

გაუმარჯოს რუსეთის დიდ კომუნისტურ პარტიას.

გაუმარჯოს მის სახელოვან ბელადებს.

ყრილობის დღის წესრიგის შესახებ.

გაზეთებში უკვე გამოქვეყნებულ დღის წესრიგში ყრილობამ შეიტანა დამატებით კიდევ შემდეგი კითხვები:

საქართველოს წითელი არმია—მომხსენებელი ამხ. **შ. ელიავა.**

შიმშილი რუსეთში—მომხსენებელი ამხ. **ფ. მახარაძე.**

პარტიის გაწმენდის შედეგები—მომხს. ამხ. **ჩიკარევი.**

საბჭოთა კოლექტიური მეურნეობა

შექმნილ მძაფრ ეკონომიურ და მისგან გამომდინარე სასურსათო კრიზისის განელებისათვის და სასოფლო მეურნეობის აღორძინება-განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კოლექტიურ მეურნეობას. აგრარული რეფორმის, საბოლოო აზრით კოლექტიური მეურნეობის განვითარება, მიწების დანაწილება, რომელშიაც დღეს-დღეობით ჩამოყალიბდა ჩვენში აგრარული რეფორმა, ეს ძველი უსამართლობის ანგარიშების გასწორებაა და ძველთან შედარებით ზოგიერთ შემთხვევაში პროგრესია, მაგრამ ცხადია ის გარემოება, რომ ეს ზომა აგრარულ რეფორმის პალიატივია და რომ წვრილ მიწათ-მფლობელობის პირობებში შეუძლებელია როგორც მეურნეობის ისე სამეურნეო ტეხნიკის განვითარება.

ჩვენ ერთბაშათ ვერ გარდავქმნით მეურნეობის არსებულ ფორმას, მას თანდათანობითი და ხანგრძლივი მუშაობა ესაჭიროება, მაგრამ ამ თავიდანვე უნდა წარმოებდეს ცდა და წინასწარი მუშაობა მაინც უმჯობეს ფორმაზე გადასვლისათვის თითქოს არის ჩვენში ასეთი ცდა და მუშაობა, აქა-იქ არსებობს საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობა, თუმცა ეს მეურნეობა უმეტეს შემთხვევაში აგრარულ რეფორმაზე გვერდის ავლის მოსაზრებითაა დაარსებული და თავისი უსიცოცხლო და კარჩაკეტილი მუშაობით ხალხში კოლექტიურ მეურნეობას სახელის მოხვეჭის მაგივრათ სახელს უტეხენ. ასეთი მეურნეობები კი არ ვითარდება-ფართოვდება და ძლიერდება, არამედ იყინება ერთ წერტილზე, ზოგჯერ კვდება კიდეც და ეს იმიტომ, რომ იქ ნაკლებათ არის დაცული კოლექტიურ მეურნეობის პრინციპები და გაბატონებულია წვრილ ბურჟუაზიულ სტიქიით შეპყრობილ კერძო მეპატრონის ინსტიქტი.

აგრარული რეფორმის ამ მხარეს უდიდესი და დაუყოვნებლივი ყურადღება უნდა მიექცეს და ამ მხრივ მდგომარეობა კარდინალურათ უნდა გაუმჯობესდეს. მიწათმოქმედების კომისარიატი არ უნდა კმაყოფილდებოდეს კოლექტიურ მეურნეობის საქმეში მარტო სანიმუშო წესდების შედგენით და კოლექტიურ მეურნეობის შემადგენელ ამ წესდების ცხოვრებაში შესრულებას სისასტიკით უნდა ითხოვდეს. ის კოლექტიური მეურნეობა, რომელიც სანიმუშო წესდების მიღებით ფორმალურათ იკისრებს თავის თავზე ვალდებულებას და არა საპატიო მიზეზის გამო საქმით არ შეასრულებს მას, ღალუყონებლივ უნდა დაიშალოს, რათა თავისი ცუდი მაგალითით დამღუპველი გავლენა არ იქონიოს სამომავლოთ კოლექტიურ მეურნეობის განვითარებაზე.

საბჭოთა კოლექტიურ მეურნეობის განსაკითარებლათ და ან ასეთ მეურნეობის განვითარებისათვის სანიმუშო მეურნეობის შესაქმნელათ არ კმარა სახელმწიფოსაგან მარტო წესდების შედგენაც. ასეთ მეურნეობას სახელმწიფომ ყოველმხრივი დახმარება უნდა აღმოუჩინოს მის აყვავებაგანვითარებას და ყოველ-მხრივ ხელი უნდა შეუწყოს. მხოლოთ სახელმწიფოს შრომა და ამაგი რომ ამაოთ არ დაიკარგოს, უნდა იყვეს გარანტია ამ ამაგის ანაზღაურებისა მეურნეობის უეჭველი განვითარების სახით. ამ მოსაზრებით სახელმწიფომ მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის სახით უფრო ახლო უნდა მიუდგეს კოლექტიურ მეურნეობას, თავის დროზე გაიგოს მისი დალხინება, გაჭირვება და თავისივე დროზე შეაჩეროს მისი მუშაობა, თუ კი ის ამ კოლექტიურ მეურნეობის პრინციპებს არ იცავს და აგრარულ რეფორმის ერთგვარ გვერდის ავლის მოსაზრებას ემსახურება.

ჩვენის აზრით ჯერჯერობით ჩვენში ასეთი მეურნეობა უნდა მოეწყოს ქალაქის მახლობელ ადგილებში მუშისა და გლეხის გაერბიანებული შრომით. ამას, გარდა ეკონომიურისა, დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც ექნება და გლეხისა და მუშის კავშირს განამტკიცებს. მეორე მხრივ ეს ხელს შეუწყობს ქალაქ ადგილას სასურსათო კრიზისის რამდენიმეთ განელებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს და გამოიწვევს წარმოების აღორძინებას. რუსეთმა ამ მხრივ კარგ შედეგებს მიახწია და ზოგიერთი ქალაქის მუშები საჭირო სურსათის 30 პროც. ასეთ მეურნეობისაგან იწევენ. ეკონომიურ კრიზისსა და სასურსათო გართულებას ამ გზით უნდა ბრძოლა და არა ოხვრა-გოდებითა და ვიღაცეების გადაბრალებით.

ყოველივე ამას, როგორც ამ წერილის დასაწყისში აღვნიშნე, საერთოდ მეურნეობის განვითარების მხრივადაც დიდი მნიშვნელობა ექნება. ის ერთგვარ სანიმუშო მეურნეობის როლს ითამაშებს და ხელს შეუწყობს მის გავრცელება-განვითარებას.

საჭიროა ამ საქმისადმი სათანადო ყურადღება როგორც მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისაგან, ისე მუშათა ორგანიზაციების უმაღლეს ორგანოს პროფკავშირთა საბჭოსაგან.

ბ. ბებუკა.

წითელი პრესა

უმუშევრობა.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის წევრი ამხ ჰოლ-ლუი ცენტრალური კომიტეტის ორგანოში: „ჰიუმანიტე“ (21 დეკემბერი) უმუშევრობის საკითხის შესახებ სწერს:

„რამდენი არიან ამ ქამათ უმუშევრები მთელ მსოფლიოში? პასუხი ამ კითხვაზე ძალიან ძნელია; ვინაიდან ოფიციალური ცნობები უმუშევრობის შესახებ გაცილებით ნაკლებია ნამდვილზე. ადამიანის არსებათა მილიონები, ათეული, ასეული მილიონები პირდაპირ თუ არაპირდაპირ იტანჯებიან უმუშევრობის გამო...

უმუშევრობის ტანჯვაში ჩავარდნილი არიან მშრომელნი მრეწველობის მხრივ, როგორც დიდათ განვითარებულ, ისე ჩამორჩენილ ქვეყნებისაც. ჩილი, მექსიკა, ესპანეთი, ნორვეგია, ინგლისსა და ამერიკაზე არა ნაკლებ იტანჯებიან.

მაგრამ ყველაზე უფრო ძლიერათაა უმუშევრობა სწორეთ ინდუსტრიალურათ ყველაზე უფრო განვითარებულ ქვეყანაში—ამერიკაში. ფაბრიკის მუშების 25 მილიონიდან დაახლოვებით ერთი მეოთხედი სამუშაოს მუდმივ ძებნაშია. უმუშევართა საერთო რიცხვი ამერიკის მრეწველობის ყველა დარგებში რამდენიმე კვირის უკან აღწევდა განსაცვიფრებელ ციფრს,—5.735 ათასს. თუ მივუმატებთ ამას უმუშევართა ოჯახების წევრთა რიცხვს, გამოვა, რომ ამერიკის რესპუბლიკის 25 მილიონზე მეტი მოქალაქე სიმშილით კვდება. კანადაში დაქირავებულ მუშების 16 პროც. ღებულობს დახმარებას ტრედ უნიონებისა და სახელმწიფოსაგან.

ინგლისში რეგისტრაციაშია გატარებული 1,000,600 მეტი უმუშევარი, რომელიც იღებს ერთდროულ დახმარებას, მაგრამ 600,000 უმუშევარმა უკვე ისარგებლა თავისი უფლებით დახმარების მიღებაზე, ვინაიდან საზოგადოებრივი დახმარება უმუშევართათვის განსაზღვრულია განსაზღვრული რაოდენობითა და ვადით.

გერმანიაში ჯერ კიდევ შემოდგომაზე მარტო ერთი ოფიციალური ცნობებით ითვლებოდა 400,000 მეტი უმუშევარი.

ბელგიაში ურთიერთ დახმარების კასები აძლევენ დახმარებას და მასთან მეტად უმნიშვნელოს 200,000 უმუშევარს.

იტალიაში 250,000 უმუშევარი ქუჩაშია გამოსროლილი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. შვეიცარიაში—140,000 უმუშევარი. ნიდერლანდებში ისინი 13 პროცენტია, შვეციაში—30 პროცენტი“.

შემდეგ ამხ. ჰოლ-ლუი გადადის რა საფრანგეთზე, ამბობს:

„ჩვენში სრულებით არ აწარმოებენ უმუშევართა ხტატისტიკას. მთავრობა ამით სრულებით არ ინტერესდება. მაგრამ ჩვენ კარგათ ვიცით, რომ საფრანგეთშიაც არის მოდებული უმუშევრობა, რომელიც სასტიკათ ტანჯავს პროლეტარიატს და აძლევს ხელში მქონებელ კასებს ძლიერ იარაღს მათი რეაქციონური ზრახვების განსახორციელებლათ მუშების წინააღმდეგ“

***

„გადამწყვეტი ბრძოლა პროლეტარიატის დიქტატურისათვის“.

მოსკოვის „ტრუდი“ რკინისგზელთა გაფიცვის გამო გერმანიაში ეხება იქ მომხდარ სოციალურ მოვლენებს და ცვლილებებს და სწერს:

„გერმანიის მოვლენები ყურადღებას იპყრობენ იმის გამო, რომ სწორეთ გერმანია განიცდის ყველაზე უფრო მეტად, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყანა, სოციალურ ზვავების მომწიფებას, რომლებიც სწმენდენ გზას სოციალურ რევოლიუციისათვის. ქვეყნის განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობის გამო, რომელიც დანგრეული და გაძარცულია ვერსალის ხელშეკრულების სწორი აზრის თანახმათ,—გერმანია დაუდგრომელ წონასწორობის მდგომარეობაშია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველი მუჯლუგუნი, რომელიც სხვა პირობებში ხელშეუხებლათ ტოვებს ბურჟუაზიულ ბატონობას, აქ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ღებულობს. ამიტომაცაა, რომ გერმანიის მოვლენებს განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ“...

შემდეგ ის ეხება რკინისგზელთა გაფიცვას, თუ რითი იყო გამოწვეული ის, რა ხასიათი ქონდა და ათავებს:

„და ყოველი ასეთი მოვლენა გაკეთილია გერმანიის პროლეტარიატისათვის. რკინისგზელთა გაფიცვა მაჩვენებელია იმის, რომ შექმნილ გარემოებაში, გერმანიაში არსებულ პირობებში პროლეტარიატის წინაშე არის მხოლოთ ერთი გამოსავალი:

— გადამწყვეტი ბრძოლა პროლეტარიატის დიქტატურისათვის“.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

იბრიცკის იარმუკა.

მოსკოვი. 26 იანვარი, (რადიო). ს. მ. უ. ს. მომარაგების ცენტრალურ სამმართველომ გაგზავნა დეპეშით შრომის და თავდაცვის საბჭოს დადგენილება ირბიცკის იარმუკის გახსნის შესახებ. იარმუკა იმოქმედებს 7 თებერვლიდან 18 მარტამდე, იარმუკის შესახებ დებულების მიხედვით ყველა ნება დართულ საქონლის ყიდვა-გაყიდვა შეუძლია ყველა მოქალაქეს იარმუკის კომიტეტის მიერ დამყარებული წესდების მიხედვით. შეზღუდულია მხოლოდ ბეწვეულობის შესყიდვა, რომელიც წარმოადგენს სამონოპოლიო საქონელს. ბეწვეულობა შეუძლია შეისყიდოს მხოლოდ რ. მ. უ. ს. და საგარეო ვაჭრობის განყოფილებას, შეუძლია მიიღოს მონაწილეობა ცენტრო კავშირმაც. საექსპორტო საქონელის შესყიდვის დროს უნდა დაცულ იქნეს რ. ს. ფ. ს. რ. საგარეო ვაჭრობის ყველა განკარგულებები. იარმუკაში მონაწილენი წინასწარ ვალდებული არიან ჩაეწერონ იარმუკის კომიტეტთან.

სახალხო სასამართლო.

მოსკოვი. 21 იანვარი, (რადიო). პეტროგრადის 20 კერძო წარმოებათა გამოკვლევის შემდეგ აღმოჩნდა მათში დიდი ბოროტ მოქმედებანი. მუშების შრომის ბირჟის გარეშე მიღებესათვის, 8 საათის სამუშაო დღის

დარღვევისათვის და კავშირის მიერ დამყარებულ ხელფასზე ნაკლებ ქირის მიცემისათვის დამნაშავენი გადაეცენ სასამართლოს.

კანონების შესასწავლი კურსები.

როსტოვი. 15 იანვარი. როსტოვის სახალხო სასამართლოსთან მოეწყო იუსტიციის თანამშრომელთა მოსამზადებელი 2 თვიანი კურსები. კურსებზე ლექციები იკითხება სისხლის სამართლის და სამოქალაქო უფლებათა და პოლიტიკურ ეკონომიის პროცესის შესახებ, რ. ს. ფ. ს. რ. კონსტიტუციაზე. კურსანტები გაიგზავნებიან დონის ოლქის სხვა და სხვა ადგილებში სასამართლოს დაწესებულებებში საპასუხისმგებლო ადგილების დასაკავებლად.

რ. კ. პ. როსტოვის საქალაქო კონფერენცია.

როსტოვი. 15 იანვარი. რ. კ. პ. როსტოვის საქალაქო კონფერენციის პრეზიდიუმში ერთხმად აირჩიეს კოროტილოვი, ბუდიონი, ორჯონიკიძე. მოისმინეს მოხსენებანი სრულიად რუსეთის პარტ. კონფერენციის, საერთაშორისო მდგომარეობის, კომინტერნის მოქმედების და მორიგ პარტიულ ამოცანების შესახებ.

იუსტიციის მუშაკთა ყრილობა.

როსტოვი. 15 იანვარი. (დეპეშა). როსტოვში გაიხსნა დონის ოლქის იუსტიციის მუშაკთა ყრილობა. დაადგინეს აღძრან საკითხი სრულიად რუსეთის იუსტიციის მუშაკთა ყრილობის წინაშე სასამართლოს მუშაკთა თეორიულად და პრაქტიკულად მომზადებისა და სასამართლოს მუშაკთა და პროფესიონალურ პარტმუშაკთა შორის კავშირის დამყარების შესახებ. შეეხენ მცხოვრებთა თვალში სასამართლოს ავტორიტეტის გაძლიერების საკითხს და სასამართლოს მუშაკთა მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებისას.

სახელმწიფო გამომცემლობის ლიკვიდაცია

როსტოვი. 15 იანვარი, (დეპეშა) ნოვოროსიისკის სახელმწიფო გამომცემლობის განყოფილებას უყვეს ლიკვიდაცია, მისი ფუნქციები ნაწილობრივ გადაეცა პოლიტიკურ განათლების მთავარ მართველობას, ნაწილი კი პოლიგრაფიულ განყოფილებას.

ბრძოლა ბანდიტიზმის წინააღმდეგ.

როსტოვი. 15 იანვარი, დეპეშა. ტაგანროგში საგანგებო სამეულმა გადაუწყვიტა დახვრეტა 9 ბანდიტს, როძლიბმაც უკანსკნელ ხანებში მოახდინეს მთელი რიგი შეიარაღებული თავდასხმა. დაიჭირეს ტაგანროგის რადიო-სადგურზე დამცემთა და გამცარცველთა მონაწილეები, რომლებიც აღმოჩნდნენ სადგურის მოწაფეები. ისინი დახვრიტეს.

ულუფის და ფულის განაწილების წესი.

მოსკოვი, 21 იანვარი. რადიო. სრულიად რუსეთის ცენტალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმმა დაამტკიცა წესრიგი, რომლის თანახმად სახალხო კომისარიატებმა უნდა გაანაწილონ ულუფა და ფულის თანხები მოსამსახურეთა შორის. საინვალიდო და ფულის თანხები სახალხო კომისარიატებმა უნდა გაუნაწილონ მხოლოდ იმ მოსამსახურეთა რაოდენობას, რომელიც დაწესებულია სახ. კომისარიატებისთვის სრულიად რუსეთის ცენტრ. აღმას. კომიტეტის დადგენილებით და დამტკიცებულია იმავ კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ.

ოქროს ვალიუტით

მოსკოვი, 21 იანვარი. რადიო. ჩრდილოეთ-დასავლეთის სავაჭრო საოლქო პალატის სხდომაზე 17 იანვარს დაადგინეს გაუქმდეს პეტროგრადის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან ფასების კომისია, აღებ-მიცემობის საქმეები ჩატარდეს ოქრ ს ვალიუტით და დაწესდეს აგრეთვე იძულებითი რეგისტრაცია სააღებ-მიცემო საქმეებისა.

შრომის არმიელების გადაყვანა.

მოსკოვი, 21 იანვარი. რადიო. დონეცის გუბერნიის ეკონომიურმა თათბირმა დაადგინა შესწყვიტოს შრომის არმიელთა გადაყვანა დონეცის ბასეინში საცხოვრებელ ბინების,სურსათის და სამკურნალო წამლების უქონლობის გამო.

საქონლის სყიდვა საზღვარ-გარეთ

მოსკოვი, 21 იანვარი (რადიო). პეტროგრადის ს. მ. უ. ს. სავაჭრო განყოფილებამ საზღვარ-გარეთ იყიდა პეტროგრადის მრეწველობის წარმოებისთვის სანოვაგე, უმთავრესათ შაქარი 22 მილიარდ მანეთისა. საქონლის ფასს იხდიან საბჭოთა ფულის ნიშნებით.

სახლების იჯარა.

მოსკოვი, 21 იანვარი (რადიო). პეტროგრადის ს. მ. უ. ს. დეკემბერში 21 სახლი გასცა იჯარით, რის შესახებ ხელშეკრულებებიც დასდო, ამას გარდა მანვე დასდო 16 ხელშეკრულობა ქონებით სიცოცხლის დროს სარგებლობის შესახებ.

„ძილით ავათმყოფობა"

მოსკოვი, 4 იანვარი. „იზვესტია" იუწყება, რომ მოსკოვში გავრცელებულია „ძილით ავათმყოფობა". ამასთან გაზეთს მ ოყავს შემდეგი დაწერილებითი ცნობები: ეს ავათმყოფობა 1918 წელს გაჩნდა რუსეთში; პირველათ უკრაინაში, მერე მოსკოვში, იგი ნამეტნავათ ძლიერდება ზამთარში ამ ჟამათ მოსკოვში 100 კაცამდეა ავათ ამ ავათმყოფობით. ჩვეულებრივ ეს ავათმყოფობა ამნაირათ მიმდინარეობს: გარეგნულათ სრულიად ჯანმთელი კაცი უცებ იძინებს და მთელი დღე და ღამე სძინავს, ბუნების ყველა მოთხოვნილებას ნორმალურად ასრულებს. ავათმყოფები კითხვებზედაც კი იძლევიან პასუხს, თუ ხმამაღლა, ყურთან დაუძახებენ, ავათ მყოფის სახე თან და თან სრულიად

კომპარტიის სრულიად რუსეთის კონფერენცია

კომუნისტური ინტერნაციონალი

(ამხ. ზინოვიევის მოხსენება)

ამხანაგებო, ჩვენი პარტიის ცენტრალ ორგანოში ჩემს მიერ გამოქვეყნებული იყო,—პარტიის ცენტრალ კომიტეტში განხილვის შემდეგ,—თეზისები კომუნისტური ინტერნაციონალის ტაქტიკის ახალი პრობლემების შესახებ *). მე ვფიქრობ, დამსწრეთა უმრავლესობა ამ თეზისებს იცნობს. საერთაშორისო საკითხებში ამ ჟამად ჩვენ გვმართებს მრავალი პრობლემის განხილვა; თვითეული მათგანი პირველადაა დასმული ჩვენს წინაშე უაღრესად რთული ვითარების პირობებში. თუ დღეს ეროვნულ მაშტაბში ჩვენ პარტიას უხდება მრავალი რთული მანევრების მოწყობა, გასაგები უნდა იყოს სავსებით, რომ ინტერნაციონალურ სფეროში ყველა ეს კითხვა სრულიად არ არის ჩვენთვის უფრო იოლი, პირიქით. ზოგჯერ იგი ბევრათ რთულია და მძიმე. კომუნისტური ინტერნაციონალის ტაქტიკა, ცხადია, ბოლოს და ბოლოს იჭედება საერთაშორისო რევოლიუციის ტემპის მიხედვით საერთოდ, ხოლო ამ რევოლიუციის ტემპი უახლოესი კავშირით არის გადანასკვული პროლეტარული რევოლიუციის მსვლელობასთან იმ პირველ ქვეყანაში, სადაც მან უკვე გაიმარჯვა, ე. ი. ჩვენს ქვეყანაში.

ამბობენ ხშირად,—ჩვენი მთავარი შეცდომა თითქოს ის იყო, რომ ჩვენ გონიერად ვერ გავზომეთ საერთაშორისო რევოლიუციის განვითარების ტემპი. „რომ, ასე ვთქვათ, მსოფლიო რევოლიუციის მსვლელობა უფრო ჩქარი ყოფილიყო, მაშინ თითქოს რუსეთში არ იქნებოდა ის განუზომელი გაჭირვება, და სიძნელე, რომელიც ეხლა არის და რომელზედაც თავს იმტვრევს პარტიული აზრი და ეს კონფერენციაც". სხვანაირად რომ ვსთქვათ, ამტკიცებენ რომ საერთაშორისო რევოლიუციამ არ გაამართლა სრულიად ჩვენი იმედები და არ ვითარდებოდა იმ ტემპით, რომელიც ჩვენთვის სასურველი იყო. მე ვფიქრობ რომ ჩვენ უნდა შევჩერდეთ სწორედ ამ საკითხზე: მართალია ეს რომ საერთაშორისო რევოლიუციამ არ გაამართლა ჩვენი იმედი? რა მხრითაა ეს მართალი? და თუ ასეა, რით არის იგი გამოწვეული?

უპირველესად ყოვლისა, ამხანაგებო, როდესაც კითხვა საერთაშორისო რევოლიუციას ეხება, უნდა გვახსოვდეს, რომ თვით ჩვენ ნაწილი ვართ—და ფრიად მნიშვნელოვანი ნაწილიც—ამ საერთაშორისო რევოლიუციისა. რევოლიუცია ურუსეთოდ—აღარ არის საერთაშორისო რევოლიუცია. შეიძლება ითქვას,—რომ ჩვენ შევადგენთ საერთაშორისო რევოლიუციის, ყოველ შემთხვევაში, 50 პროცენტს.

საერთაშორისო რევოლიუციაში ჩვენი ქვეყნის წონა და სიმძიმე მეტად დიდია. და აი, სწორედ ამიტომ, როდესაც ჩვენ ვაცხადებთ, რომ საერთაშორისო რევოლიუცია არ მიიღტვის წინ სასურველი სიჩქარით,—ამით ჩვენ ვამბობთ, რომ თვით ჩვენმა საკუთარმა რუსეთის რევოლიუციამ, რომელიც ნახევარია საერთაშორისო რევოლიუციისა, არ გაამართლა ჩვენი ზოგიერთი იმედი. ურთიერთმოქმედება და ურთიერთდამოკიდებულება იმის შორის, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება,—სადაც პირველად გაიმარჯვა პროლეტარიატმა,—და იმისა, რასაც ყველა სხვა დანარჩენ ქვეყნებში ვხედავთ,—ეს ურთიერთქმედება არსებობს ყოველ ნაბიჯზე, ყოველ კუთხეში. ეს არ უნდა დავივიწყოთ ამხანაგებო, არც ერთი წუთით.

საჭიროდ მიმაჩნია აგრეთვე მოვიგონოთ, თუ როგორ ვიყენებდით ჩვენ ამ საკითხს იმპერიალისტური ომის დასაწყისში და შემდეგ თებერვლის რევოლიუციისა და ოქტომბრის რევოლიუციის უახლოეს წინა ხანში.

თქვენ იცით, რომ მე-3 ინტერნაციონალისა და საერთაშორისო რევოლიუციის იდეას,—იმ აზრით, როგორც იგი დღეს გვესმის,—ჩვენმა პარტიამ უკვე იმპერიალისტური ომის პირველ ოვებში, მისცა სახე და ვარკვეული ფორმულა; თქვენ იცით, რომ პირველი „იაჩეიკა", რომელიც იქცა კომუნისტური ინტერნაციონალის საფუძვლად, იყო ციმერვალდის კონფერენციის მარცხენა ნაწილი ჩვენი პარტიის მეთაურობით. ძალიან საინტერესოა ეხლა მაშინდელი, ჩვენს მიერ შედგენილი, დოკუმენტების გადათვალიერება. ამ დოკუმენტებში ჩვენ სისტემატიურად გავყვიროდით საერთაშორისო რევოლიუციის ეპოქის შესახებ და იგივე მომენტი არის მთავარი ღერძი იმ რეზოლიუციისა, რომელიც მიიღო ჩვენი პარტიის სრულიად რუსეთის კონფერენციამ. ცარიზმის დამხობის შემდეგ, 1917 წლის აპრილში, საერთაშორისო რევოლიუციის ეპოქაზე ჩვენ მსუბუქად და ზერელეთ არ ვმსჯელობდით; თვითეული სიტყვა ჩვენ დოკუმენტებში იყო მოფიქრებული და გაზომილი მრავალგზით. ჩვენ ვამბობდით, რომ იმპერიალისტური ომის ეპოქას კვალდაკვალ მოსდევს საერთაშორისო, პროლეტარული რევოლიუციის ეპოქა. ამით იმის თქმა გვინდოდა, რომ საერთაშორისო რევოლიუციის გამარჯვება ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს არა როგორც ერთი დაკვრა, ერთი შეტევა, ან აჯანყება,—არა,—ჩვენ იმის თქმა გვსურდა. რომ ეგ რევოლიუცია და მისი გამარჯვება ჩვენ გვესმის როგორც მთელი ეპოქა როგორც მრავალ წელთა რიგი, რომლის ხაზზე შესაძლოა ომი, ან ომები მრავალხელ შესცვალოს ცალკე რევოლიუციებმა, რათა ბოლოს და ბოლოს მოუსპოს გამარჯვება პროლეტარულ რევოლიუციას მსოფლიოს მთავარ, გადამწყვეტ ქვეყნებში.

მაშინ როდესაც ამას ვამბობდით, ჩვენ სრულის სიდინჯით, მშრალი გონებით, მეცნიერულად, ფხიზლად ვწონიდით და ვსინჯავდით საქმის ყველა მხარეს; მაშინ, როცა ჩვენ ვსკვნიდით კომუნისტურ ინტერნაციონალის საძირკველს, როცა ვსკვნიდით ჩვენი ტაქტიკის საძირკველს საერთაშორისო რევოლიუციის ეპოქისათვის, მაშინ ჩვენ ნათლად ვხედავდით, რომ ისეთი დიდი მოვლენა, როგორიც არის პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვება მსოფლიო მასშტაბით, მოითხოვს დაუცხრომელ ბრძოლას მრავალ წელთა განმავლობაში; აშკარად, გარკვეულად ვიცოდეთ ჩვენ, რომ ლაპარაკი ამ უდიდესი ისტორიული პროცესის შესახებ, შეიძლება მხოლოდ ვრცელი ეპოქის პერსპექტივაში.

რუსეთში გამარჯვების შემდეგ, შემეცნება: „საერთაშორისო რევოლიუციის ეპოქა", ხშირად იცვლებოდა ჩვენს შორის მეორე შემეცნებით: „დაუყონებელი რევოლიუცია, დღეს-ხვალ. ეს განსაკთრებით ნათელი იქნება თუ მოვიგონებთ წარსულს, იმ მძიმე დროს, როდესაც ჩვენ ვაწარმოებდით წინასწარ მოლაპარაკებას ბრესტის ზავისათვის. თქვენ გახსოვთ,—როცა ჩვენ დელეგაციას პირველი მოლაპარაკება ჰქონდა ბრესტში, ავსტრიაში და ნაწილობრივ გერმანიაში იფეთქა მუშათა მოძრაობამ. ალბათ ისიც გახსოვთ ამხანაგებო, რომ მაშინ უმრავლესობა ჩვენ შორის, ყველა ჩვენ ვფიქრობდით, რომ აი, სწორედ ეს არის—ეს არის არა მარტო დასაწყისი, არამედ გადამწყვეტი მომენტი პროლეტარული რევოლიუციისა ამ ორ სახელმწიფოში მაინც, და შეიძლება ევროპაშიც საერთოდ. შევადაროთ ციმერვალდის მემარცხენე კონფერენციის დროის ჩვენი შეფასება რევოლიუციის განვითარების პერსპექტივისა, ჩვენს დამოკიდებულებას ამავე საკითხთან ბრესტის მოლაპარაკების ხანაში და განსაკუთრებულის სიცხადით აღინიშნება ის რაც ზევით მოგახსენეთ, ე. ი. შეცვლა „საერთაშორისო რევოლიუციის ეპოქის" შემეცნებისა იმ შემეცნებით, რომელიც გამოიკვეთა შემდეგში, ჩვენი რევოლიუციისათვის საბედისწერო პირობების გავლენით. ბრესტის დროს, და ბრესტის წინა, უახლოეს ხანაში ჩვენი მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ განსაკუთრებულის სიფხიზლით უთვალთვალებდით თვითეულ მოვლენას, თვითეულ მომენტს და უცდიდით, რომ აი, დღესვე გაიკვეთება გორდის ნასკვი რომ აი, დღესვე საერთაშორისო რევოლიუცია დაამარცხებს ბურჟუაზიას, დაამარცხებს არა იმ აზრით, რომ ჩვენ წელიწადების განმავლობაში დავვძლეთ ბურჟუაზიას, არამედ იმ აზრით, რომ რევოლიუცია ეხლავე, ამ მომენტშივე გაგვიხსნის ხელ-ფეხს. გაგვიადვილებს მდგომარეობას.

საერთაშორისო რევოლიუცია ჩვენ უფრო ახლო წარმოვიდგინეთ, მისი მსვლელობა გამარჯვებისაკენ ჩვენ 4 თვეს ეძინა, შემდეგ გაიღვიძა, რამდენსამე დღეში გამოსწორდა და სრულიათ მორჩენილი გამოვიდა დარაშვიჩის კლინიკიდან. უკანასკნელათ მოსკოვში ამ ავათმყოფობისგან გარდაიცვალა პროფესორი გოროხოვი, რომელმაც დაიძინა 25 ოქტომბერს და აღარ გაიღვიძა 30 დეკემბრამდე, როდესაც იგი გარდაიცვალა.

რ. კ. პ. წევრების აღწერა

მოსკოვი. პარტიის ც. კ. დადგენილებით, იანვარში მოხდება რ. კ. პ. წევრთა საყოველთაო აღწერა სრულიად რუსეთის მასშტაბით. პარტიის მოსკოვის კომიტეტი მოუწოდებს მოსკოვის ორგანიზაციის ყველა წევრებს სერიოზულათ მოეკიდნენ ამ კომპანიის ჩატარებას, აღრიცხვის და ანგარიშის რიგზე დაყენებას. მოსკოვის კომიტეტი აფრთხილებს მოსკოვის ორგანიზაციის ყველა წევრებს, გახსოვდეთ, რომ ყოველი წევრი შეიძლება ჩაწერილ იქნეს მხოლოთ ერთს უჯრედშიო (იაჩეიკაში)..

ამხ. ტროცკის სიტყვა

მოსკოვის მუშა-ახალგაზრდობის კონფერენციაზე

მოსკოვი. 23 იანვარი, (რადიო). მოსკოვის მუშა ახალგაზრდობის კონფერენციაზე ამხ. ტროცკი გამოვიდა შემდეგი სიტყვით:

ბურჟუაზიამ ჩვენ ვერ დაგვამარცხა.

4 წლის წინათ, როდესაც საბჭოთა რესპუბლიკას საფუძვლები ეყრებოდა არავის, ჩვენს გარდა, არ სჯეროდა, რომ ის შეინარჩუნებდა თავის მდგომარეობას. ყველა ქვეყნების ბურჟუაზიას იმედი ჰქონდა მისი დამხობისა. ჩვენ არასოდეს ფიქრად არ მოგვსლია, რომ გარდა საბჭოთა რუსეთისა, ჩვენი 4 წლის არსებობის შემდეგ, არ იქნება არც ერთი მუშათა ქვეყანა, მაგრამ ეხლაც მდგომარეობა ისედაც რომ საბჭოთა რუსეთი ჯერ კიდევ ერთად ერთი მუშათა ქვეყანაა მთელ მსოფლიოში. რევოლიუცია დასავლეთში არ მოხდა. ბურჟუაზიამ ჩვენ ვერ წაგვაქცია. და თუ ჩვენ ამისი გვეშინოდა, როდესაც უფრო სუსტები ვიყავით, დღეს უკვე ცხადია, რომ ეხლა ჩვენ ვერასოდეს ვერ დაგვამარცხებენ.

იძულებული არიან გვიცნონ.

ამხ. ტროცკი აღარებს ჩვენს რესპუბლიკას და ბურჟუაზიულ ევროპას ორ შეურიგებელ მტერს, რომლებიც შედიან ვაგონის კუპეში ლაპარაკით: ან მე ან იმან არ უნდა იცოცხლოს. თითოეული ცდილობს გადისროლოს მეორე ფანჯრიდან ხრამში, მაგრამ გადის ნახევარი საათი, ერთი საათი, ის ვერ მოხერხდა და მატარებელი განაგრძობს გზას; შეიძლება მოუხდეთ კიდევ ნახევარი საათი ერთად მოგზაურობა, საჭიროა როგორმე მოთავსდენ დაიწყონ ჩემოდნები. ისინი კვლავ რჩებიან შეურიგებელი მტრები, მაგრამ ბედი მათ აიძულებს ერთად იმოგზაურონ ერთი ვაგონით. აი ეს შედარება რამოდენიმედ ახასიათებს ჩვენს დამოკიდებულებებს ევროპის მთელ ბურჟუაზიასთან. კიდევ რამოდენიმე ხანი, რამდენი, ძნელი წარმოსადგენია, იძულებული ვიქნებით ვიარსებოთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოების გვერდით. ბურჟუაზიამ ვერ შესძლო ჩვენი დამხობა და ამის შედეგია ჩვენი მიწვევა საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელშიდაც მონაწილეობას მიიღებს 45 სახელმწიფო, ეს იქნება ყველაზე დიდი საერთაშორისო კონგრესი, რომელიც კი ოდესმე ყოფილა მსოფლიოში. ბევრი გვეყოლება ჩვენ იქ მეგობრები? ძალიან ვეჭვობ. აქვს თუ არა აზრი ამ კონფერენციაზე ჩვენს გამგზავრებას? რუსეთის მუშათა კლასმა დიდი სასწაულები მოახდინა; მთავარი სასწაული იმაში მდგომარეობს, რომ ყოველ მხრივ ბურჟუაზიული სახელმწიფოებით გარშემორტყმულმა მუშურმა სახელმწიფომ შეინარჩუნა ძალა-უფლება დ აიძულა ისინი შეეწვია საერთაშორისოკონფერენცია. საფრანგეთის გაზეთები სწერენ თითქო აქამდი საბჭოთა ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ ის არასოდეს არ მოუჯდება ერთ მაგიდას ბურჟუაზიულ დიპლომატებთან ერთად; ეხლა ის დათანხმდა ამაზე. ეს წმინდა წყლის მიქარგაა. ჩვენი საერთაშორისო პოლიტიკა დაგიწყეთ იქიდან, რომ იძულებული ვიყავით კბილების ღრჭენით წავსულიყავით ბრესტლიტოვსკში, სადაც ვისხედით ერთ მაგიდის ირგვლივ (დამახინჯებულია), და ვინც აცხადებდა, რომ არ დაჯდება ჩვენთან ერთად ეს იყო სწორედ საფრანგეთის ბურჟუაზია, იყვენ ისინი, რომლებიც მოითხოვდენ რუსეთის გარშემო ჯალიანი მავთულის შემოვლებას. დათმობაზე მიდის უპირველესად ყოველისა საფრანგეთი, რომელიც თავის მინისტრის ბრიანის სახით დასთანხმდა, რომ არ წარუდგინოს რუსეთს არავითარი პირობები კონფერენციაზე მონაწილეობის მიღებისათვის. მართალია, ბრიანს მხარი არ დაუჭირა საფრანგეთის ბურჟუაზიამ და ის გადადგა, მაგრამ მისი ადგილი დაიკავა საფრანგეთის იმპერიალიზმის კიდევ უფრო უკიდურესმა წარმომადგენელმა პუანკარემ. პუანკარემ განაცხადა, რომ მან დიდი ხანია რაც აუცილებლად დაინახა საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკების დაწყება.

მხოლოო პროლეტარიატი ჩვენთანაა.

შესაძლებელია, რომ გამარჯვებული ქვეყნები ვერ შეთანხმდენ იმ პირობების შესახებ, რომლებიც, მათი აზრით, უნდა წარედგინოს რუსეთს. მაგრამ ამ შემთხვევაშიდაც ჩვენ არაფერს დავკარგავთ თუ მოლაპარაკებას განვაგრძობთ ცალკე რამოდენიმე ჯგუფთან. შემდეგ ტროცკი აღნიშნავს, რომ ჩვენი მიწვევა კონფერენციაზე დაზღვევაა ყოველ გვარ ომისაგან. ჩვენ ვამჩნევთ, თუ ჩვენი მეზობლების ბურჟუაზიული რიგები, ხედავენ რა, რომ ახლოვდება ჩვენი საერთაშორისო ცნობის საათი, დაფაცურდენ, რადგანაც ამ დროს, როდესაც ჩვენ გვიცნობენ, რუ მინეთის და პოლონეთის მეზობლები ჩვენ წინააღმდეგ უფრო იარაღ ებ. მაგრამ საბჭოთა რუსეთის ცნობის დროს მოახლოვებასთან ერთად ჩვენი დაუძინებელი მტრები ცდილობენ მოგვაყენონ უკანასკნელი ზიანი. ახლო გაზაფხულზე ისახება ორი შესაძლებლობა: ერთი მხრივ ჩვენი ცნობა და მეორე მხრივ ახალი სამხედრო შემოტევა. ერთიც და მეორეც ერთნაირად შესაძლებელია. უნდა ვიყოთ მზად ორივე მიმართულებით; უნდა გვყავდეს დისციპლინით და შეგნებით აღჭურვილი წითელი არმია. ჩვენი წითელი არმია ეხლა ახალგაზრდობის შეიარაღებული კავშირია. ეს აძლევს მას უდიდეს უპირატესობას, იმიტომ რომ ახალგაზრდობა უფრო მეტი რევოლიუციონური და თავდადებულია. ჩვენ ამ არმიას რამდენადაც შეიძლება უნდა ვასწავლოთ და ავზარდოთ იგი. ახალგაზრდობის კავშირის და ახალგაზრდა მუშების მნიშვნელოვანი ამოცანაა—ახალგაზრდა ამხანაგების მომზადება, რომლებსაც უწევს წითელ არმიაში შესვლა.

რეზოლიუცია

ამხ. ტროცკის მოხსენების შესახებ კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც იწონებს საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას და მოუწოდებს მუშა ახალგაზრდობას წითელი არმიის მოწინავე რიგებისაკენ.

ორეულ-აღმოსავლეთის მშრომელთა ყრილობა

ამხ. ზინოვიევის სიტყვა.

მოსკოვი, 23 იანვარი (რადიო). 21 იანვარს მოსკოვში გაიხსნა შორეულ აღმოსავლეთის მშრომელთა ყრილობა კომინტერნის აღმასკომის დავალებით ყრილობას ხსნის ამხ. ზინოვიევი.

„კომუნისტურ ინტერნაციონალს, ამბობს ამხ. ზინოვიევი, თავის არსებობის პირველი დღიდანვე ნათლად ჰქონდა გათვალისწინებული, რომ პროლეტარიატის გამარჯვება ბურჟუაზიაზე შესაძლებელია მხოლოდ მსოფლიო მასშტაბით. არ უნდა შევიჩნიოთ ერთი და იგივეთ მსოფლიო და ევროპის რევოლიუცია. ჩვენ, იგულისხმება, კარგათ ვიცით თუ რა მნიშვნელობა აქვს რევოლიუციონერ მოძრაობას ევროპაში, მაგრამ ამასთან ვიცით, რომ საბოლოო გამარჯვება მოპოებული იქნება მხოლოდ მსოფლიო პროლეტარიატის მიერ. შეორე და ორნახევარი ინტერნაციონალის გმირები გვიკიჟინებდენ ჩვენ რომ გვინდოდა ევროპის მუშების ბრძოლას დაუკავშიროთ აგრეთვე აღმოსავლეთის მშრომელები. ეს გამოთაყვანებული და ბეცი ევროპიელი მეშჩანები ევროპის იქით ვერაფერს ხედავენ. მე-3 ინტერნაციონალის განსხვავება წინა ინტერნაციონალებიდან იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ არა თუ მარტო სიტყვებით, არამედ საქმეთ, როდესაც ჩვენ გვიცნობენ, რუ მინეთის და პოლონეთის მეზობლები ჩვენ წინააღმდეგ უფრო იარაღ ებ. მაგრამ საბჭოთა რუსეთის ცნობის დროს მოახლოვებასთან ერთად ჩვენი დაუძინებელი მტრები ცდილობენ მოგვაყენონ უკანასკნელი ზიანი. ახლო გაზაფხულზე ისახება ორი შესაძლებლობა: ერთი მხრივ ჩვენი ცნობა და მეორე მხრივ ახალი სამხედრო შემოტევა. ერთიც და მეორეც ერთნაირად შესაძლებელია. უნდა ვიყოთ მზად ორივე მიმართულებით; უნდა გვყავდეს დისციპლინით და შეგნებით აღჭურვილი წითელი არმია. ჩვენი წითელი არმია ეხლა ახალგაზრდობის შეიარაღებული კავშირია. ეს აძლევს მას უდიდეს უპირატესობას, იმიტომ რომ ახალგაზრდობა უფრო მეტი რევოლიუციონური და თავდადებულია. ჩვენ ამ არმიას რამდენადაც შეიძლება უნდა ვასწავლოთ და ავზარდოთ იგი. ახალგაზრდობის კავშირის და ახალგაზრდა მუშების მნიშვნელოვანი ამოცანაა—ახალგაზრდა ამხანაგების მომზადება, რომლებსაც უწევს წითელ არმიაში შესვლა.

რეზოლიუცია

ამხ. ტროცკის მოხსენების შესახებ კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც იწონებს საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას და მოუწოდებს მუშა ახალგაზრდობას წითელი არმიის მოწინავე რიგებისაკენ.

ამხ. ზინოვიევის სიტყვა.

მოსკოვი, 23 იანვარი (რადიო). 21 იანვარს მოსკოვში გაიხსნა შორეულ აღმოსავლეთის მშრომელთა ყრილობა კომინტერნის აღმასკომის დავალებით ყრილობას ხსნის ამხ. ზინოვიევი.

„კომუნისტურ ინტერნაციონალს, ამბობს ამხ. ზინოვიევი, თავის არსებობის პირველი დღიდანვე ნათლად ჰქონდა გათვალისწინებული, რომ პროლეტარიატის გამარჯვება ბურჟუაზიაზე შესაძლებელია მხოლოდ მსოფლიო მასშტაბით. არ უნდა შევიჩნიოთ ერთი და იგივეთ მსოფლიო და ევროპის რევოლიუცია. ჩვენ, იგულისხმება, კარგათ ვიცით თუ რა მნიშვნელობა აქვს რევოლიუციონერ მოძრაობას ევროპაში, მაგრამ ამასთან ვიცით, რომ საბოლოო გამარჯვება მოპოებული იქნება მხოლოდ მსოფლიო პროლეტარიატის მიერ. მეორე და ორნახევარი ინტერნაციონალის გმირები გვიკიჟინებდენ ჩვენ რომ გვინდოდა ევროპის მუშების ბრძოლას დაუკავშიროთ აგრეთვე აღმოსავლეთის მშრომელები. ეს გამოთაყვანებული და ბეცი ევროპიელი მეშჩანები ევროპის იქით ვერაფერს ხედავენ. მე-3 ინტერნაციონალის განსხვავება წინა ინტერნაციონალებიდან იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ არა თუ მარტო სიტყვებით, არამედ საქმეთ, როდესაც ჩვენ გვიცნობენ, რუ მინეთის და პოლონეთის მეზობლები ჩვენ წინააღმდეგ უფრო იარაღ ებ. მაგრამ საბჭოთა რუსეთის ცნობის დროს მოახლოვებასთან ერთად ჩვენი დაუძინებელი მტრები ცდილობენ მოგვაყენონ უკანასკნელი ზიანი. ახლო გაზაფხულზე ისახება ორი შესაძლებლობა: ერთი მხრივ ჩვენი ცნობა და მეორე მხრივ ახალი სამხედრო შემოტევა. ერთიც და მეორეც ერთნაირად შესაძლებელია. უნდა ვიყოთ მზად ორივე მიმართულებით; უნდა გვყავდეს დისციპლინით და შეგნებით აღჭურვილი წითელი არმია. ჩვენი წითელი არმია ეხლა ახალგაზრდობის შეიარაღებული კავშირია. ეს აძლევს მას უდიდეს უპირატესობას, იმიტომ რომ ახალგაზრდობა უფრო მეტი რევოლიუციონური და თავდადებულია. ჩვენ ამ არმიას რამდენადაც შეიძლება უნდა ვასწავლოთ და ავზარდოთ იგი. ახალგაზრდობის კავშირის და ახალგაზრდა მუშების მნიშვნელოვანი ამოცანაა—ახალგაზრდა ამხანაგების მომზადება, რომლებსაც უწევს წითელ არმიაში შესვლა.

რეზოლიუცია

ამხ. ტროცკის მოხსენების შესახებ კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც იწონებს საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას და მოუწოდებს მუშა ახალგაზრდობას წითელი არმიის მოწინავე რიგებისაკენ.

კომპარტიის სრულიად რუსეთის კონფერენცია

კომუნისტური ინტერნაციონალი

(ამხ. ზინოვიევის მოხსენება)

ამხანაგებო, ჩვენი პარტიის ცენტრალ ორგანოში ჩემს მიერ გამოქვეყნებული იყო,—პარტიის ცენტრალ კომიტეტში განხილვის შემდეგ,—თეზისები კომუნისტური ინტერნაციონალის ტაქტიკის ახალი პრობლემების შესახებ *). მე ვფიქრობ, დამსწრეთა უმრავლესობა ამ თეზისებს იცნობს. საერთაშორისო საკითხებში ამ ჟამად ჩვენ გვმართებს მრავალი პრობლემის განხილვა; თვითეული მათგანი პირველადაა დასმული ჩვენს წინაშე უაღრესად რთული ვითარების პირობებში. თუ დღეს ეროვნულ მაშტაბში ჩვენ პარტიას უხდება მრავალი რთული მანევრების მოწყობა, გასაგები უნდა იყოს სავსებით, რომ ინტერნაციონალურ სფეროში ყველა ეს კითხვა სრულიად არ არის ჩვენთვის უფრო იოლი, პირიქით. ზოგჯერ იგი ბევრათ რთულია და მძიმე. კომუნისტური ინტერნაციონალის ტაქტიკა, ცხადია, ბოლოს და ბოლოს იჭედება საერთაშორისო რევოლიუციის ტემპის მიხედვით საერთოდ, ხოლო ამ რევოლიუციის ტემპი უახლოესი კავშირით არის გადანასკვული პროლეტარული რევოლიუციის მსვლელობასთან იმ პირველ ქვეყანაში, სადაც მან უკვე გაიმარჯვა, ე. ი. ჩვენს ქვეყანაში.

ამბობენ ხშირად,—ჩვენი მთავარი შეცდომა თითქოს ის იყო, რომ ჩვენ გონიერად ვერ გავზომეთ საერთაშორისო რევოლიუციის განვითარების ტემპი. „რომ, ასე ვთქვათ, მსოფლიო რევოლიუციის მსვლელობა უფრო ჩქარი ყოფილიყო, მაშინ თითქოს რუსეთში არ იქნებოდა ის განუზომელი გაჭირვება, და სიძნელე, რომელიც ეხლა არის და რომელზედაც თავს იმტვრევს პარტიული აზრი და ეს კონფერენციაც". სხვანაირად რომ ვსთქვათ, ამტკიცებენ რომ საერთაშორისო რევოლიუციამ არ გაამართლა სრულიად ჩვენი იმედები და არ ვითარდებოდა იმ ტემპით, რომელიც ჩვენთვის სასურველი იყო. მე ვფიქრობ რომ ჩვენ უნდა შევჩერდეთ სწორედ ამ საკითხზე: მართალია ეს რომ საერთაშორისო რევოლიუციამ არ გაამართლა ჩვენი იმედი? რა მხრითაა ეს მართალი? და თუ ასეა, რით არის იგი გამოწვეული?

უპირველესად ყოვლისა, ამხანაგებო, როდესაც კითხვა საერთაშორისო რევოლიუციას ეხება, უნდა გვახსოვდეს, რომ თვით ჩვენ ნაწილი ვართ—და ფრიად მნიშვნელოვანი ნაწილიც—ამ საერთაშორისო რევოლიუციისა. რევოლიუცია ურუსეთოდ—აღარ არის საერთაშორისო რევოლიუცია. შეიძლება ითქვას,—რომ ჩვენ შევადგენთ საერთაშორისო რევოლიუციის, ყოველ შემთხვევაში, 50 პროცენტს.

საერთაშორისო რევოლიუციაში ჩვენი ქვეყნის წონა და სიმძიმე მეტად დიდია. და აი, სწორედ ამიტომ, როდესაც ჩვენ ვაცხადებთ, რომ საერთაშორისო რევოლ

ძალლონით გადამწყვეტი ბრძოლა გაუმართოთ ყველა ქვეყნების იმპერიალისტებს.

ამხ. კალინინის მისალმება.

სრულიად რუსეთის აღმასკომის სახელით ყრილობას ესალმება ამხ. კალინინი. „ჩვენი მხარის მთავარი არსი, ამბობს ის, მდგომარეობას იმაში, რომ ჩვენ არ შევისწრაფით სხვა ხალხების ექსპლოატაციისაკენ. აქ შეკრებილნი წარმომადგენლებია მსოფლიოს ყველაზე უფრო დაჩაგრულ ხალხებისა. მთავარი, რაც ჩვენ გვაერთებს მსოფლიო მშრომელებთან, ესაა ბრძოლა მჩაგვრელთა წინააღმდეგ“.

ამხ. ლოზოვსკის მისალმება.

ამხ. ლოზოვსკი ესალმება ყრილობას პროფინტერნის სახელით. „კაპიტალიზმის განვითარებასა და პროლეტარიატის ზრდასთან ერთად, ამბობს ის, აღმოსავლეთში იბადება ყველაზე უფრო ელემენტალური კლასიური ორგანიზაცია—პროფესიონალური კავშირები. აღმოსავლეთის ქვეყნების მუშებმა უნდა ისწავლონ ევროპის და ამერიკის გამოცდილებაზე და შექმნან თავისი რევოლიუციონური კლასიური ორგანიზაციები. პროფკავშირების წითელი ინტერნაციონალი განსაკუთრებული სიხარულით მიიღებს თავის რიგებში თქვენი ქვეყნების რევოლიუციონურ მუშებს, ამასთან ერთად დაიწყებენ გადამჭრელ ბრძოლას თავის ექსპლოატატორების წინააღმდეგ“.

ამხ. მოდვუ

იაპონიის დელეგაციის სახელით გამოდის ამხ. მოდვუ. „ვაშინგტონის კონფერენცია, სთქვა მან, მარცხით გათავდა“. ეს აუცილებლად გამოიწვევს შეჯახებას ამერიკასა და იაპონიას შორის. იაპონიის პროლეტარიატი უნდა მიისწრაფოდეს იაპონიის მილიტარიზმის დაცხობისა და საბჭოთა რუსეთის ლოზუნგების გარშემო გაერთიანებისაკენ“.

დუან-ვენი

ჩინეთის დელეგაციის წარმომადგენელი დუან-ვენი ამყარებს იმედებს ამ ყრილობაზე, რომლის შემდეგაც რევოლიუციონური მოძრაობა აღმოსავლეთში გახდება კიდევ უფრო ძლიერი. „ეს ყრილობა მოგვცემს ძლიერს, შეკავშირებულ ორგანიზაციას და დაისახავს მოქმედების განსაზღვრულ პროგრამას.

კორეის ხალხის წარმომადგენელი

კორეის ხალხის სახელით გულწრფელ და გულითად სალამს უძღვნის ყრილობას კიმი. „მოსკოვი, სადაც ჩვენ თვით შეკიყარეთ, ამბობს ის, წარსულში დაკავშირებული იყო მოსკოვის ბატონობის იდეასთან. ვაშინგტონი, წინააღმდეგ წარმოადგენდა დემოკრატიის ცენტრს. ახლა ვაშინგტონი სდგას მსოფლიო კაპიტალისტურ ექსპლოატაციის და იმპერიალისტურ წაგლეჯის ცენტრში“.

ჩერდება რა საბჭოთა რუსეთის ტიტანიურ ბრძოლაზე, ორატორი აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთის მშრომელებმა თავი შეიყარეს აქ, მოსკოვში დასავლეთის წარმომადგენლებთან ერთად. ამიერიდან არ არსებობს ცალკე აღმოსავლეთი და დასავლეთი, არამედ ერთიანი პროლეტარული ფრონტი.

ქალთა დელეგაციის წარმომადგენელი.

ქალთა დელეგაციის წარმომადგენელი, კანტონის პარლამენტის წევრი, მწვრთალი ქალი ვონგი ამბობს: „დედაკაცი საჭიროებს განთავისუფლებას ისე როგორც მამაკაცი. რუსეთი ერთად-ერთი ქვეყანაა, რომელმაც განახორციელა ქალის განთავისუფლება. ჩინეთის ქალები ცდილობენ დაეხმარონ რუსეთს და განთავისუფლდენ იმ ტანჯვა-წამებისაგან, რომელსაც აყენებენ მათ მთელი მსოფლიოს კაპიტალისტები.

ხამაუანის მისალმება.

იავის პროლეტარიატის და ჰოლანდიის ინდოეთის სახელით ყრილობას მხურვალეთ ესალმება სამაუანი. „იავის პროლეტარიატი, ამბობს ის, დიდი ხანია უკვე რაც ოფლს ღვრის უცხო კაპიტალის გულისათვის. ვაშინგტონის კონფერენციამ და აყენა მეორე ადგილზე იავის საკითხი, იმიტომ რომ მსოფლიო კაპიტალისტებმა დიდი ხანია რაც დაიწყეს ჰოლანდიის ინდოეთის ექსპედიცია. ასე ვერ გაგრძელდება მუდამ. ინდოეთის პროლეტარიატი ითამაშებს დიდ როლს შრომის ბრძოლაში კაპიტალთან.

ახალგაზრდობის კომინტერნის წარმომადგენელი.

ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის სახელით მილერი მხურვალედ მოუწოდებს აღმოსავლეთ ქვეყნების მშრომელ ახალგაზრდობას რათა იგი მიემხროს მსოფლიო კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმულ ავანგარდს.

ინდოელების კომუნისტური პარტიის წარმომადგენელი

ინდოელების კომუნისტური პარტიის სახელით როიეტი ამბობს: „თუ აქამდე კაპიტალიზმის და იმპერიალიზმის წარმომადგენლები ცდილობდენ ჩვენი ერთიანობაზე გადაკიდებას, ამ ყრილობიდან დაიწყება ახალი ეპოქა, როდესაც შორეულ აღმოსავლეთის მშრომელები დაინახავენ, რომ ჩვენ ამიერიდან ვერაფერი ვერ გაგვთიშავს. ისინი დაინახავენ, რომ ჩვენთან საერთო მტერი, რომლის წინააღმდეგ უნდა იბრძოლონ შეერთებული.

ამერიკის კომპარტიის წარმომადგენელი.

ამერიკის კომუნისტურ პარტიის წარმომადგენელი უერთდება გამოთქმულ აზრს, რომ ყრილობა აღმოსავლეთის და დასავლეთის მშრომელთა გაერთიანების სიმბოლოა.

ეხება რა კაპიტალიზმის ძლიერ ზრდას ამერიკაში უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში, ორატორი ამბობს: „თუ ვაშინგტონის კონფერენციაზე ირჩეოდა საკითხი თუ როგორ გადააქციონ კოლონიების და ნახევრად-კოლონიების მშრომელთა ოფლი ოქროს დოლარებად; ჩვენ უნდა განვიხილოთ საკითხი უკუღმა: რანაირად შეიძლება არ დაუშვათ ამ მუქთა-მჭამელა-ექსპლოატატორების მიზნის განხორციელება“.

ამხ. ზინოვიევის საბოლოო სიტყვა.

საბოლოო სიტყვაში ამხ. ზინოვიევი ამბობს: „რუსეთის რევოლიუცია მალე იდღესასწაულებს თავის გამარჯვების 5 წლის თავს. ეს მხოლოდ ერთი წამია ისტორიის ციფერბლატზე. მსოფლიო რევოლიუცია მხოლოდ ეხლახან დაიწყო. ჩვენ დავინახეთ პატარა დასაწყისი იმისი, რასაც დავინახავთ, როდესაც აჯანყდებიან შორეულ-აღმოსავლეთის დამონებულების ასეული მილიონები.

გაუმარჯოს მსოფლიოს მშრომელთა მტკიცე საერთო კავშირს კომუნისტურ ინტერნაციონალის დროშის ქვეშ“.

ყრილობის შემადგენლობა.

ყრილობაზე მოვიდა 200 დელეგატამდე, რომლებშიაც 40 პროც. კომუნისტია, დანარჩენები ეკუთვნიან სხვა და სხვა სოციალისტურ და ნაციონალურ-რევოლიუციონურ ჯგუფებს.

მსოფლიო რევოლიუციის ფრონტზე

ახალი საბჭოთა რესპუბლიკა

ბანოვერი, 19 იანვარი, გერმანიის მთავრობის სააგენტო იუწყება: ვაშინგტონიდან მიღებულ ცნობებით, პუებლას (მექსიკა) მუშებმა გამოაცხადეს საბჭოთა რესპუბლიკა და დაიწყეს მიწების გაყოფა, რომლებიც მოძეტებულ ნაწილათ ეკუთნიან ესპანიელებს.

გერმანიის ტრანსპორტის მუშების გაფიცვა

მოსკოვი 20 იანვარი (რადიო). გერმანიის სამრეწველო ოლქების ტრანსპორტის მუშებმა გამოაცხადეს გაფიცვა ეკონომიურ ნიადაგზე.

გერმანიის მესაათეთა გაფიცვა

მოსკოვი, 20 იანვარი (რადიო). დაიწყო შვარცვალდის მესაათეთა გაფიცვა, რიცხვით 35,000 კაცის.

გაფიცვა ბუდაპეშტში

მოსკოვი. 20 იანვარი (რადიო). ბუდაპეშტში განუს ფაბრიკის მუშათა გაფიცვა მოედო სხვა წარმოებებსაც. გაიფიცენ ელექტრონის ლამფების ფაბრიკის და ელექტრო-სადსადგურის მუშები.

ლიბკნეხტის და როზა ლიუქსემბურგის ხსონვისათვის

მოსკოვი, 20 იანვარი, (რადიო) 15 იანვარს ბერლინში გერმანიის კომპარტიამ მოაწყო დემონსტრაცია ლიბკნეხტის და როზა ლიუქსენბურგის მოკვლის წლის თავის აღსანიშნავად. ვენაში შესდგა მთელი რიგი მიტინგებისა, რომელიც მოაწყო კომპარტიამ ლიბკნეხტის და როზა ლიუქსემბურგის მკვლელობის წლის თავის დღეს. მიტინგებმა დიდი წარჩინებით ჩაიარა და მიიზიდა დიდძალი მუშები და უპარტიოები.

გაერთიანებული პროლეტარული ფრონტი

მოსკოვი, 20 იანვარი (რადიო) დემოუკიდებელ სოციალისტთა ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ყველას მასიურ დემონსტრაციისაგან გაერთიანებულ პროლეტარულ ფრონტის სასარგებლოდ. ორნახევარი წინტერნაციონალი იწვევს კონფერენციას, რომელზედაც მოუწოდებს მონაწილეობის მისაღებად მეორე და მესამე ინტერნაციონალს.

მოლიტარიზმი ისპანიაში

მოსკოვი, 20 იანვარი. (რადიო) მადრიდში მოხდა მრავალ რიცხოვანი დემონსტრაციები შემდეგი ლოზუნგით: ძირს სამხედრო ბატონობა, გაუმარჯოს სამოქალაქო ხელის უფლებას!“

დემონსტრაციების წინააღმდეგ გამოვიდენ გვარდიის აფიცრები, რომლებმაც დასჭრეს ბევრი დემონსტრანტები, განსაკუთრებით მუშები. ბევრია დაჭრილი და დახოცილები.

მუშათა მდგომარეობა ინგლისში

ლონდონი. 3 იანვარი, ლონდონის გაზეთების ცნობით, ინგლისელ მუშების მდგომარეობა მეტად მძიმეა. სამხრეთ უელსის ზოგიერთ რაიონებში მუშებს არ შეუძლიან არსებობა თავიანთ სამუშაო ქირით. აღძრულია საკითხი, რომ მუშებს მიეცეს დამატებითი შემწეობა იმის გამო, რომ სამუშაო ქირა არ ყოფნით მათ ცოლ შვილს შესანახათ.

—გაზეთები იუწყებიან, რომ 14 იანვარს ლონდონში 400 დარაზმული უმუშევარი მუშა ძალით შევიდა მანქანათა მკეთებელ საზოგადოების ქარხანაში, რომელშიაც მუშაობს 180,000 მუშა, შეწყვიტეს ორთქლის მიცემა და ჩაშალეს მუშების მიტინგები. უმუშევართა წარმომადგენლებმა მიუთითეს მუშებს ზედმეტ მუშაობის დაუშვებლობაზე იმ დროს, როდესაც დიდძალი ხალხი სრულიათ მოკლებულია სამუშაოს, გამოიწვიეს პოლიცია, რომელიც ცდილობდა უმუშევრების განდევნას ქარხნიდან. უმუშევრებმა უარი თქვეს პოლიციის მოთხოვნის შესრულებაზე, სანამ ადმინისტრაცია არ დაპირდა მათ რომ ზედმეტ მუშაობას არ დაუშვებს განსაკუთრებით სასწრაფო რემონტის საჭიროების დროს.

—დეილ ჰერალდი იუწყება: მთავრობა იძულებული შეიქნა დაეკმაყოფილებინა მოთხოვნები, რომლებიც ძალით მუშებს უნდა მიეცეს სრული სამუშაო ქირა ტრედ-უნიონების გაკვეთის თანახმათ, 75 პროცენტის ზომით როგორც ეს ხდებოდა აქამდე.

ევროპის მუშების გაერთიანება

ბორდო, 18 იანვარ (რადიო) საერთაშორისო შრომის გაერთიანებს ბერლინის ბიურომ სოციალისტურ პარტიებთან ერთად დაადგინა თავს იდვას საფრანგ თის, ინგლისის, ბელგიის, იტალიის და გერმანიის მუშათა პარტიების წარმომადგენელთა ყრილობის მოწვევა. ამავე დროს გადასწყვიტეს მოლაპარაკება დაიწყონ ლონდონის და მოსკოვის აღმასრულებელ კომიტეტებთან აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის მუშების საზოგადო კონფერენციის მოწვევის შესახებ მახლობელ გაზაფხულზე.

გაერთიანებულ პროლეტარულ ფრონტის გამო

მოსკოვი, 21 იანვარი (რადიო. 2 ნახ. ინტერნაციონალის ბიურომ თავის სხდომაზე, რომელიც მოხდა ბერლინში 14—15 იანვარს, დაადგინა დასთანხმდეს საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის მოწვევას ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიის და [illegible] ლეტარულ პარტიების კონფერენციაზე და მეორე მხრით მოლაპარაკება დაიწყოს ლონდონის და მოსკოვის აღმასკომებთან იმაზე, რათა საზოგადო კონფერენციაზე საერთოთ მიწვეულ იქნენ ყველა ინტერნაციონალურ ცენტრალურ ორგანიზაციების სახელით. ვენის ინტერნაციონალის წარმომადგენლობას მიანდეს წინადადება მისცეს სხვა ინტერნაციონალების აღმასკომებს—კონფერენცია 1922 წლის გაზაფხულზე მოიწვიოს. თუ ამ ცდამ მარჯვეთ ჩაიარა, საზოგადო კონფერენციის პროგრამმა უნდა განსაზღვრულ იქნას სასწრაფო საკითხებით, რომელთა შორის პირველი ადგილი უნდა დაეთმოს საკითხს პროლეტარიატის რეაქციის წინააღმდეგ თავდაცვის შესახებ. განზრახულია, ამ კონფერენციაზე დაუშვან ყველ პროლეტარული პარტიები, რომლებიც დგანან კლასთა ბრძოლის და საერთაშორისო პროლეტარულ სოლიდარობის ნიადაგზე.

მისალმება ამხ. ფ. მახარაძეს

აჭარისტანის საბჭოების პირველი ყრილობის პრეზიდიუმისაგან

წითელი აჭარის საბჭოების პირველ ყრილობამ, ამოგირჩიათ რა თქვენ, ძვირფასო ფილიპე, თავის საპატიო თავმჯდომარეთ, თქვენის პროლეტარული რევოლიუციის ძველი ბელადის სახით, ვესალმებით სრულიად საქართველოს მუშებსა და გლეხებს. ჩვენ გვჯერა, რომ თქვენი დაუღალავი და გამოცდილი ხელმძღვანელობით შევ ძლებთ სამუდამოდ შევინარჩუნოთ გამარჯვება და ღირსეულად დავიცვათ რევოლიუციონურ ბრძოლის დროშა მსოფლიო მომავალ გამარჯვების გზაზე. იცოცხლეთ და ოდღეგრძელეთ ძვირფასო ამხანაგო, სოციალისტურ რევოლიუციის სასახელოდ.

ქრონიკა

27 იანვარი უქმე დღეა. შრომის სახალხო კომისარიატის განმარტებით, 27 იანვარი „ნინოობა“ ყველასათვის სავალდებულო უქმე დღეა.

ჯანმრთელობის კომისარიატის საევაკუაციო პუნქტი. ჯანმრთელობის კომისარიატს საევაკუაციო პუნქტისათვის შენობა მიეცა ორთჭალაში.

ეპიდემის მსვლელობა ჯანმრთელობის კომისარიატს ცნობებით პარტახტიან სახადის და ყვავილის ეპიდემიის მსვლელობა 8-დან 15 იან. გამოიხატება შემდეგი ციფრებით: 8 იანვარს იყო ყვავილით ავადმყოფი -14, პარტახტიან სახადით—85, საანგარიშო დროში ავად გახდა ყვავილით—5, პარტახტიან სახადით—39 გამომთელდა ყვავილისაგან-6, პარტახტიან სახადისაგან—33. მოკვდა ყვავილით—1. სახადით—4. 16 იანვარს იყო ყვავილიანი—12, სახადიანი—86, სახლებში ექიმობდენ ერთი ყვავილიანი და 17 სახადიანი.

დღეს თეატრებში. სახელმიფო ოპერა—ყველასათვის ხელმისაწვდომი წარმოდგენა ხენკინის მონაწილეობით „რიგოლეტო“. რუსთაველის თეატრი—პეტიპას გასტროლი „იმპერატორის შვილი“. მცირე-თეატრი—სტუდენტთა ტრადიციული კონცერტი—ბალი. რევ-სამხატ. თეატრი—„რახილის გოდება“. კამერის თეატრი—სომხური წარმოდგენა. სახალხო სახლი „ენრიხ ნავარიელი“. მუშ. ცენტ. კლუბი სალამო—წარმოდგენა. მ. ც. კ. ახალი თეატრი—კინ-კომ-კოპ. საქ. წითელ ლაშქრის ცენტრ. კლუბი—სომხური წარმოდგენა. კონსერვატორია-კონცერტი. ცირკი — მრავალფეროვანი პროგრამა.

კინო თეატრებში.

მიხიონი—„სტენკა-რაზინი“. აპოლო—„ჟიუდექსი“ მე-5 სერია. ალკრე—„ანდრეი კორნელისი“. არფასტო—„ოქროსა და სიკვდილის ხელისუფლება“. ჩერქეზიშვილი—კინოკომედია. არს—მუნჯი დარაჯი. სარკის—მორფინისტკა.

ევროპიდან [illegible] **ნა** [illegible] **ლეტარულ** [illegible] **ინგლისის,** [illegible] **ლიის,** [illegible] **ინტერნაციონალ** [illegible] **ბ** [illegible] **ბ** [illegible] **ბ

საქ. წითელი აღალგაზრდოგის ფურცელი № 36

ორგანო საქართველოს აღალგ. კომუნ. კავშირის ცენტრალური და თბილისის კომიტეტისა

საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი ყრილობა

ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, საბჭოთა იდეის გამარჯვების შემდეგ, ამა წლის 23 იანვარს პირველად შესდგა კომპარტიის ლეგალური ყრილობა. მიუხედავათ იმ გარემოებისა, რომ საბჭოთა სახელმწიფოებრივ წესწყობილების იდეამ სისხლხორცი შეისხა და მაღე წითელი თბილისი დედობრივი გრძნობით გულში ჩაიკრავს მშრომელი ხალხის ბატონ-პატრონს, სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელ დეპუტატთა საბჭოებს,— **როგორც აქნამდის ისთე შემდეგშიაც კომპარტიას განუზომელი მნიშვნელობის როლი ეკუთვნის რევოლიუციისა და თვით საბჭოთა განმტკიცების—გამარჯვებაში, სამეურნეო და სამხედრო ფრონტზე, მთელს ჩვენს საბჭოთა სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის საქმეში.**

ამიტომ საქართველოს კომპარტიის ყრილობას დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ. მშრომელი ხალხის ავანგარდის, მისი ინტერესების ერთად-ერთ დამცველ პარტიის წარმომადგენლები ყველა მაზრებიდან, შეიკრიბებიან რა პარტიულ ყრილობაზე, ჯამს გაუკეთებენ ამ ხნის განმავლობაში რესპუბლიკაში წარმოებულ საბჭოთა სახელმწიფოებრივ აღმშენებლობითი მუშაობას; პარტიულ ძალების მიერ კოლექტიურათ შეფასებული და განხილული იქნება ყველა ის საჭირბოროტო კითხვები, რომლებიც წინ უდგას გადასაჭრელად საბჭოთა ხელისუფლებას. ყრილობა, გაუკეთებს რა ჯამს პარტიის გაჯანსაღებისათვის წარმოებულ მუშაობას, როგორც უმაღლესი ინსტანცია პარტიულ ცხოვრებაში, თავის ავტორიტეტულ სიტყვას იტყვის მის სიმტკიცეზე

საქართველოს კომუნისტური პარტია გადამტანი ეხეოდენი ძალმომრეობისა მენშევიკური მთავრობის ბატონობისაგან; პარტია, რომელმაც აიტანა არალეგალური მუშაობის პირობები, ცხადია გამარჯვებული გამოვა თანამედროვე რევოლიუციონური ხანიდან და პირნათლად შეასრულებს, ისტორიის მიერ მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

პირველი ყრილობა მორიგი ნაბიჯია ამ მხრივ გადადგმული. უსურვებთ მას ნაყოფიერ მუშაობას.

ეანი.

პროლეტარულ რევოლიუციის მსხვერპლნი

(კარლ ლიბკნეხტის და როზა ლიუქსენბურგის ხსოვნას)

რევოლიუცია, ეს თანამედროვე საზოგადოებაში არსებულ და მომქმედ ანტაგონისტურ ძალთა მძლავრი შეტაკებაა, მიმართული გაბატონებულ საზოგადოებრივ წესწყობილების შეცვლისაკენ. ეს კი დიდი საქმეა და ამიტომ დიდ მსხვერპლსაც მოითხოვს. კ. ლიბკნეხტს და როზა ლიუქსენბურგს, მსხვერპლად იწირავს გერმანიის სოციალური რევოლიუცია, რომელშიაც დროებითი გამარჯვება ბურჟუაზიას და სოციალ-გამცემლებს რჩებათ, საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადები, რომელთა ცხოვრების და ბრძოლის მთელი ენერგია რევოლიუციონურ საქმეს ელეოდა, მის მსვლელობას იკვლევდა, სწორ გზას უჩვენებდა მუშათა კლასს, ხელში უვარდებიან მოწინააღმდეგეებს, რომლებიც აჯანყებულ პროლეტარიატს ქურდულად პარვენ მათ ხელმძღვანელებს და კლავენ. ერთხელ კიდევ ბურჟუაზიამ დაამტკიცა თავისი ვერაგობა საერთაშორისო სოციალისტურ მოძრაობის ისტორიაში, 1800 წლიდან უკანასკნელ იმპერიალისტურ ომამდე, ეს ის ხანაა, რომლის მსვლელობაში, უმრავლესობისათვის შეუმჩნევლად, იღრნება „მუშათა პარტიის“ გული ოპორტიუნიზმის სენისაგან. ყველაზე უფრო ამ ხანაში განაყოფიერდა ნიადაგი, რომლიდანაც ვითარდებოდა ოპორტუნიზმი. მეორე ინტერნაციონალის იმ მცირე რიცხოვან ბელადებსა და თეორეტიკოსებს შორის, რომლებიც იმ თავიდანვე ებრძოდნენ ოპორტუნიზმის განვითარებას პროლეტარულ პარტიის შიგნით როზა ლიუქსენბურგს პირველი ადგილი უჭირავს. მარქსისტულ თეორიის სწორი შემეცნების მქონე შეუბრალებლად ესხმის ის თავს მის გამათაღლითებლებს. მის მრავალ შრომაში არის ნაჩვენები პროლეტარიატის ბურჟუაზიაზე გამარჯვების საშუალებანი, რომლებიც ოდნავ არ უხვევენ მარქს-ენგელსის მიერ ნაანდერძევ, მეცნიერული სოციალიზმის მთავარ პრინციპებს. როზა ლიუქსენბურგი ღრმა შინაარსიან პრაქტიკულ მოღვაწეობასთან ერთად თავისი მახვილი კალმით მთელი წლების განმავლობაში გზას უკაფავდა საერთაშორისო პროლეტარიატს—კომუნიზმისკენ და მისი ნაწერები ძვირფას განძად დარჩა მუშათა კლასს თავის აწინდელ ბრძოლაში.

კ. ლიბკნეხტმა, სწორი და დაუღალავი ბრძოლით ბურჟუაზიული წესწყობილების და სოციალგამცემლების წინააღმდეგ, უკვდავი სახელი მოიპოვა რევოლიუციონურ ბრძოლის ისტორიაში. ის საყვარელი ბელადია საერთაშორისო პროლეტარიატის.

1914 წ. აშკარათ გაილაშქრა იმპერიალისტურ ომის წინააღმდეგ. მე-2 ინტერნაციონალის შტუტგარდტის და ბაზელის შესანიშნავ დადგენილებათა მიხედვით, „ომს ომი გამოუცხადა“ ყველას გასაგონათ მოითხოვდა „იმპერიალისტურ ომის გადაქცევა, სამოქალაქო ომათ“. ყველა მეომარ ქვეყნის მუშათა კლასი, სოციალ-გამცემლების მეოხებით, იმპერიალისტურ ხოცვა-ჟლეტაში მონაწილენი იმ დროსაც კი იგონებენ კ. ლიბკნეხტის სახელს, როდესაც მრავალი მათგანი სანგრებში სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს ითვლიან... ციმერვალდის და კიენტალის კონფერენციების ხანაში, კ. ლიბკნეხტის რევოლიუციონური გული და აზრი ამ კონფერენციების გარშემო ტრიალებს. დღეს მე-3 კომინტერნი თავის რიგებში აერთიანებს მილიონობით რევოლიუციონურ პროლეტარიატს. ეს გამარჯვებაა, კ. ლიბკნეხტის და რ. ლიუქსემბურგის მიერ სხვებთან ერთად წარმოებულ ბრძოლისა. გერმანიის რევოლიუცია მაინც გაიმარჯვებს იმ ისტორიულ აუცილებლობით, რომელმაც ის გამოიწვია.

რევოლიუცია მსხვერპლს ითხოვს: „скажи мне, где и когда была без крови выкуплена свобода?“

კ. გორდელაძე.

26 იანვრისათვის

ახლოვდება 26 იანვარი. 26 იანვარი ქართველი სტუდენტის ტრადიციული დღეა. ამ დღეს ჩაეყარა საფუძველი მეცნიერების ოჯახს—სახელმწიფო უნივერსიტეტს; ასე რომ ფაქტიურად ოცდა ექვსი იანვარი ეს არის არა მარტო სტუდენტთა **საზეიმო** დღე—26 იანვარი ძვირფასია აგრეთვე ყველა იმათთვისაც ვინაც მეცნიერების განვითარებას აუცილებელ საშუალებათ სთვლის მშრომელთა განვითარება და განთავისუფლებისათვის.

მენშევიკურ საქართველოში 26 იანვარი—ეს ნამდვილი საპროტესტო დღე იყო მაშინდელ ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული; და ეს სავსებით ბუნებრივი იყო. სტუდენტთა საკითხს ისინი ყოველთვის უარყოფითად სწყვეტდენ, ხოლო ზოგიერთი მათგანი სტუდენტთა მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხს სთვლიდა ფუფუნების საკითხათ, და როგორც ასეთს, არავითარ ღირებულების მქონეთ.

საკმარისია წავიკითხოთ შარშანდელი „ქართველი სტუდენტი“—რომელიც გამოიცა 26 იანვარს, რომ ჩვენთვის ნათელი შეიქმნეს სრული უყურადღებობა მენშევიკური მთავრობისგან სტუდენტთა ცხოვრებისადმი.

სულ სხვა მდგომარეობაა დღეს. საბჭოთა ხელისუფლებამ სტუდენტთა საკითხს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მისცა. და ამ მხრივ მან უკვე გადასდგა პრაკტიკული ნაბიჯი. რამოდენიმე ასეული სტუდენტი სრული უზრუნველყოფა—რამოდენიმე დღის შემდეგ ცოცხალი ფაქტი იქნება.

კომუნისტურმა მთავრობამ იცის, რომ მეცნიერების განვითარება—ერთი საუკეთესო იარაღია მშრომელთა საბოლოო განთავისუფლებისათვის და ისიც იცის, რომ „ჭეშმარიტი განათლება—შეუძლებელია კომუნიზმის გარეშე“. ამიტომაც—ბუნებრივად სტუდენტთა მდგომარეობის გაუმჯობესება შესაძლოა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს, მშრომელთა ბატონობის ხანაში.

ასეთს მდგომარეობაში, რასაკვირველია, მომავალი 26 იანვარი იქნება ნამდვილი ზეიმის დღე კულტურის ძალთა დემონსტრაციის.

ჩვენი გულწრფელი სალამი 26 იანვარს და რევოლიუციონურ სტუდენტობას.

ჩვენი ფოსტა

ყველა პასუხისმგებელ **სამაზრო** კორესპონდენტებს—სისტემატიურათ მოგვაწოდეთ კორესპონდენციები.

იბეჭდება და ამ დღეებში **გამოვა № 3 ჟურ.** „მომავალი“.

*) უადგილობის გამო **ეს მორიგი №**, ჩვენი ფურცლის გამოდის ძალიან შემოკლებით, მასალები **გადაიდო შემდეგი №**-სთვის. **„ფურც.“ რედაქცია.**

საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

საგარეო ვაჭრობა

ბათომის პორტში.

12 იანვარს ბათომში მოვიდა გემი „ვეჩე“ 3000 ფუთ ტვირთით და 867 მგზავრით. წავიდა 2 გემი: „დიმიტრი“ სოხუმში და „კლეოპატრა“ კონსტანტინოპოლში, რომლებმაც წაიღეს 99,200 ფუთი ტვირთი და წაიყვანეს 80 მგზავრი. წავიდა აგრეთვე 11 იალქნიანი და ბუქსირიანი გემები.

სურსათი

თელავის მაზრიდან სურსათის გამოტანის აკრძალვა

4 იანვარს სასურსათო კომისარიატმა გასცა განკარგულება თელავის მაზრაში კერძო დამზადებათა დროებით აკრძალვის შესახებ. დამზადების წარმოების უფლება, მაზრის დახურვის მთელი ხნის განმავლობაში, ეძლევა მხოლოდ სამაზრო სასურ. კომიტეტს. განკარგულება გამოიცა საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციების გაერთიანებული თათბირის მიერ აღძრულ შუამდგომლობის შედეგად, რომელსაც მიზნად აქვს სასურსათო გადასახადის ჩქარი და სისწორით შეგროვების უზრუნველყოფა. თელავის სამაზრო რევკომის განცხადების თანახმად, უკანონო დამზადების წარმოებისათვის დამნაშავენი იქნებიან დაპატიმრებული, სურსათი კი ჩამოერთმევათ.

თევზის სამრეწველოებში.

(საუბარი სასურსათო კომისარიატის კოლეგიის წევრთან ამხ. ამირაგოვთან.

აზერბეიჯანში მოგზაურობიდან დაბრუნებული სასურსათო კომისარიატის კოლეგიის წევრი ამხ. ამირაგოვი აზერბეიჯანში არსებულ საქართველოს სასურსათო კომისარიატის თევზის სამრეწველოების მდგომარეობის შესახებ იტყობინება შემდეგს:

სამრეწველოების მთავარი კანტორა გადატანილია ბაქოში. გამგედ დანიშნულია თევზის საქმის სპეციალისტი ექიმი ტყეშელაშვილი. ექვს მრეწველობიდან ამ ჟამად მუშაობს ზუბოვის და ნარიხსკის. ორივე სამრეწველოებში მუშაობას ხელმძღვანელობენ სპეციალისტები—ოსიპოვი და კაციტაძე. ზუბოვისა და ნარიხსკის სამრეწველოები ამ ჟამად დღეში იძლევიან არა ნაკლებ 500 ფუთ თევზისა. 25 დეკემბრიდან 12 იანვრამდი თბილისში გაიგზავნა 12 ვაგონი თევზი. დამარილებულია 6 ვაგონი, რ. ს. ფ. ს. რ. კოოპერატივს მიეცა 2,000 ფ. სწარმოებს გაძლიერებული სამზადისი გაზაფხულზე თევზის ჭერისათვის, ეწყობა ახალი შენობები კარადანის სამრეწველოსთან, რომელიც მოგვცემს ბლომად წითელ თევზს (თართი და ზუთხი) და ხიზილალას,

მარტის დაწყებამდი, თუ რაიმე მოულოდნელი დაბრკოლებები არ გადაეღობა წინ, გაიგზავნება საქართველოში 40 ვაგონი თევზი. **დაახლოებითი** გამოანგარიშებით **გაზაფხულის** მუშაობამ **უნდა მოგვცეს** არა ნაკლებ 20 ათასი ფუთი, ორაგულის ჯიშის თევზი, 20 ათასი ფ. წვრილი თევზი და 2 ათასი ფ. ხიზილალა

დიდი ნაკლებობაა საჭერი იარაღებისა; მიღებულია ზომები **მათ ჩქარა** შეძენისათვის. გაერთიანებული საგარეო ვაჭრობა და რ. ს. ფ. ს. რ. თევზის მრეწველობის მთავარ **რწმუნებული** დაგვპირდა მოგვცეს **ერთი** თვის განმავლობაში ჩვენი **მრეწველობისათვის** ყველა საჭირო **მასალა** და იარაღი.

სერიოზულ დაბრკოლებას **იწვევს** აგრედვე სპეციალისტთა **ნაკლებობა:** საქმე ის არის, რომ **აზერბეიჯანის** მკვლევართა კავშირის მიერ **დამყარებულ** ჯამაგირებზე სპეციალისტები **არ** თანხმდებიან სამრეწველოებში **მუშაობას.** ალბად მოგვიხდება **დავადგინოთ** კერძოდ შეთანხმების გზას ტარიფის ზევით ხელფასის მიცემით. **ეს** საკითხი გადაეცა განსახილველად **კოლეგიას.**

სამრეწველოებიდან მიღებულ თევზის გაყიდვა სწარმოებს კოოპერატივების, განსაკუთრებით **მუშათა** გაერთიანებულ კოოპერატივის **საშუალებით.**

დაბოლოს **უნდა** აღვნიშნოთ, **რომ** საქართველოს სასურსათო **კომისარიატის** სახელზე თევზის **დიდი პარტიის** მოსვლამ, **როგორც** მოსალოდნელი იყო, **დიდი** გავლენა **მოახდინა** თავისუფალ ბაზრის ფასებზე, **რომელიც** დასწია 50—70 **პროცენტით.**

ბათომის ელექტროფიკაცია.

ბათომის **სამრეწველო** წარმოებებზე ელექტრონის ენერგიის **მოწოდებისათვის** და ქალაქის **გასანათებლად** სახელმწიფო **საალმშენებლო** კომიტეტის **გიდროტეხნიკურ** განყოფილების **მიერ** შედგენილია **გეგმა** ბათომიდან 8 ვერსის **მანძილზე** მდ. ქრონის **წყალზე** გიდროელექტრონულ **სადგურის** ასაშენებლად. **განზრახული** სადგურის **სიძლიერე** უნდა **უდრიდეს** 1200 ცხენის **ძალას,** რაც **უზრუნველყოფს,** დააკმაყოფილებს ბათომის ელექტრონულ ენერგიის **მოთხოვნილებას** 3—4 **წლით.** შემდეგში **თუ** მოთხოვნილება **მოიმატებს,** სადგური **გაფართოვდება.** ამ **გეგმის** განხორციელება **ითხოვს** 20,000 **მანეთს** ოქროს **ფულით.** **გეგმა** და **ხარჯები** საალმშენებლო **კომიტეტის** მიერ **დამტკიცებულია** და **განზრახულია** მუშაობა **დაიწყონ** მიმდინარე **წელში.**

ქუთაისის გუბერნიის მოარწყვა

Sახალ. საალმშენებლო **კომიტეტმა** **დაადგინა,** **შუამდგომლობა** **აღძრას** **საქართველოს** **უმაღლეს** **სახალხო** **მეურნეობის** **საბჭოს** **წინაშე** **100** **მილ.** **მან.** **გადადების** **შესახებ** **სოფ.** **ფარცხანაყანების,** **მაღლაკის** **და** **ქვიტირის** (ქუთაისის **გუბ.**) **მოსარწყავი** **არხის** **გაყვანისათვის** **მუშაობის** **დასაწყებად.** ეს **არხი** **მორწყავს** **დასამუშავებლად** **და** **პურეულობის** **დასათესად** **გამოსადეგ** **მიწას** **ზომით** **9,000** **დესეტინას.**

განზრახულია **მუშაობას** **შეუდგნენ** **მომავალ** **გაზაფხულზე.**

რეზოლიუცია

(მიღებული თბილისის საბჭოს კლენუმის მიერ ამხ. ფრუნზეს მოხსენების გამო ანატოლიის ოსმალეთის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ*)

მოისმინა რა ამხ. ფრუნზეს უ. ს. ს. რ. საგანგებო სრულ უფლებიანი წარმომადგენელი ოსმალეთში) მოხსენება ანატოლიის ოსმალეთის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ, თბილისის მუშების და წითელ-არმიელთა დეპუტატების საბჭოს პლენუმის გაფართოვებული სხდომა, პროფესიულ კავშირთა საბჭოს პლენუმსა, ადგილობრივ კომიტეტებსა, ფაბრიკების და ქარხნების კომიტეტებთან ერთად, —აღნიშნავს, რომ:

1. მსოფლიო იმპერიალიზმის ხანაში პრაქტიკულად პირველად ისმება აღმოსავლეთის კოლონიალურ და ნახევრად-კოლონიალურ ხალხების განთავისუფლების საკითხი;

2. ეს ამოცანა წამოაყენა რუსეთის და საერთაშორისო პროლეტარიატის უდიდესმა ბრძოლამ მტაცებლურ იმპერიალიზმთან, რომელიც ისწრაფის განამტკიცოს თავისი ბატონობა მთელ დედამიწის ზურგზე;

3. მსოფლიო იმპერიალიზმის ყველაზე უფრო მძიმე მახვილი დაატყდა მრავალტანჯულ ოსმალეთის ხალხს, რომელმაც ამ ჟამად აღმართა ბრძოლის დროშა ეროვნულ განთავისუფლებისათვის და იქცა მთელი მებრძოლი, მთელი კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ აღმოსავლეთის მოწინავე რაზმად.

4. ამ ბრძოლის შედეგი იმყოფება პირდაპირ დამოკიდებულებაში იმპერიალიზმის თავდასხმისათვის წინააღმდეგობის გაწევის ძალაზე საბჭოთა ფედერაციის მხრით, რომელიც წარმოადგენს ერთად ერთ დარაზმულ რევოლიუციონურ-მეომარ ძალას.

5. ანტატის წინააღმდეგ მებრძოლ საბჭოთა ფედერაციის და აღმოსავლეთის მშრომელთა ძალების უმჭიდროესი მეგობრობა და ძმობა წარმოადგენს შემდეგში გამარჯვების საუკეთესო გარანტიას.

6. პოლიტიკური პერსპექტივები და ევროპაში შექმნილი ვითარება სავსებით უზრუნველყოფენ თავის ეროვნულ **განთავისუფლებისათვის** მებრძოლ **ანატოლიის** ოსმალეთის თანამშრომლობას, კიდევ მეტი დაახლოებას **და** **საურთიერთო** ძმურ კავშირის განმტკიცებას ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების—საქართველოს, სომხეთის, **აზერბაიჯანის** და საბჭოთა რუსეთის მშრომელ მასსებთან, რომელნიც იბრძვიან მსოფლიო პროლეტარიატის სოციალურ **განთავისუფლებისათვის.**

გამოდის **რა** **ყველა** **ზემო** **თქმულიდან,** **თბილისის** **მუშათა** **და** **წითელ-არმიელთა** **დეპუტატების** **საბჭო** **გამოსთქვამს** **თავის** **ძმურ** **გრძნობებს** **ნაციონალურ** **ოსმალეთის** **და** **მთელი** **მშრომელი** **აღმოსავლეთის** **მებრძოლ** **მასსების** **მიმართ** **და** **მოუწოდებს** **საქართველოს** **და** **მეზობელ** **საბჭოთა** **რესპუბლიკების** **მუშებს** **და** **გლეხებს** **უმჭიდროეს** **და** **განუყრელ** **მეგობრობისაკენ** **ოსმალეთთან** **პოლიტიკურ,** **ეკონომიურ** **და** **კულტურულ** **სფეროში**

*) მოხსენება **დაიბეჭდა** „**კომუნისტში**“ № 17.

საგჯ. საქართველო დამშეულთა დასახმარებლად

კალმიცკის ხალხს ეგზავნება 24 ვაგონი სურსათ-სანოვაგე და ნივთები

დამშეულთა დამხმარე საქართველოს ც. კომიტეტი ამზადებს ვოლგის დამშეულ რაიონში გასაგზავნად საქართველოში მოკრეფილ 24 ვაგონ სურსათ-სანოვაგეს და ნივთებს.

ამ 24 ვაგონიდან 16 უნდა მოვიდეს ფოთიდან, პურით, რომელიც შესყიდულია საგარეო ბაზარზე გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობის კომისარიატის საშუალებით, დამშეულთა სასარგებლოდ შემოწირული ფულით.

კვირას, 22 იანვარს, დამშეულთა დამხმარე ც. კომიტეტმა მოაწყო კვირაობა ვაგონების დასატვირთად სურსათ-სანოვაგით და ნივთებით დამშეულთა დამხმარე ც. კ-ის. თბილისის საწყობებიდან. კვირაობაში მონაწილეობა მიიღო 100 წითელ არმიელმა და 150-მდე პარტიულმა ამხანაგებმა თბილისის რაიონებიდან. მუშაობა გაგრძელდა დილიდან საღილობამდე, დაიტვირთა 8 ვაგონი ყველაფრით, რაც განზრახული იყო გასაგზავნად. სურსათ-სანოვაგიდან დაიტვირთა: ფქვილი, ხორბალი, შვრია, სიმინდი, ბრინჯი, კრუპა, ლობიო, გამხმარი მწვანეული, შაქარი, სხვა და სხვა კონსერვი, შედედებული რძე, ჩაი და სხვა პროდუქტები. ნივთები და ტანისამოსი, ფეხსაცმელი, თეთრეული და სხვ.

მთელი შემადგენლობა, 24 ვაგონი, წავა ოთხშაბათს ან ხუთშაბათს, უშუალოდ ასტრახანში, კალმიცკის ხალხის დამშეულთა დამხმარე კომიტეტის განკარგულებაში. ასეთი მისამართი ნაჩვენებია რ. ც. ა. კ-თან არსებულ დამშეულთა დამხმარე ც. კომიტეტის მიერ.

მარშრუტს გაყვება მცველთა რაზმი წითელ არმიელებიდან და კომისია შემადგენლობით: 2 პროფსაბჭოს წარმომადგენელი, 2 პარტორგანიზაციებიდან და 1 გორის მაზრის გლეხობიდან.

რაც ეხლა იგზავნება **პროდუქტები** და ნივთები, ამით არ **ამოიწურება** ყველაფერი, რაც **შეაგროვა** **დამშეულთა** **დამხმარე** **ც.** **კომიტეტმა** **საქართველოში.** **არის** **ოქროს** **ნივთები** **და** **სხვა** **ვალიუტა** **ფრიად** **მნიშვნელოვან** **თანხისა,** **რომელიც** **გადიგზავნება** **მოსკოვში,** **ც.** **ა.კ-თან** **არსებულ** **დამშეულთა** **დამხმარე** **კომიტეტის** **განკარგულებაში.** **იქვე** **გაიგზავნება** **მედიკამენტების** **მნიშვნელოვანი** **პარტია,** **შემოწირული** **აბხაზეთის** **მიერ.** **ნივთების** **ნაწილს** **ადგილობრივად** **უშვებიან** **რეალიზაციას.** **ასე,** **ჟურნალეულის** **საგრძნობი** **რაოდენობა** **გადაეცა** **სახლს** **ვოლგის** **მხარის** **ბავშვებისათვის,** **რომელიც** **გახსნა** **კავკასიის** **ცალკე** **ლაშქარმა;** **ნივთების** **მეორე** **ხაწილი** **განზრახული** **აქვთ** **ლატარიაში** **ჩაგდონ,** **მათ** **შორის** **ერთი** **მოტოციკლეტი.**

დასასრულ **ახლა** **წარმოებს** **აბხაზეთის** **მიერ** **შემოწირულ** **რამოდენიმე** **ასეულ** **ფუთ** **თამბაქოს** **რეალიზაცია.** **რეალიზაცია** **ხდება** **გაერთიანებული,** **საგარეო** **ვაჭრობის** **საშუალებით,** **საგარეო** **ბაზარზე,** **ჟურნალზე** **გადასაცვლელად.**

სარედაქციო კოლეგია.

მიიღება ხელის მოწერა 1922 წ.

გაზ. „კომუნისტზე“

ხელის მოწერის პირობები:

1 თვით თბილისში და პროვინციაში 100.000 მან.

ცალკე ნომერი თბილისში 5.000 მან.

პარტიულ, მუშათა, პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანიზაციებისათვის, ქოხი-სამკითხველოებისა და წითელ-არმიელთა კლუბებისათვის ერთი თვით 50.000 **მან.**

დროებით ხელის **მოწერა** **და** **განცხადებ**ების **მიღ**ება **სწარმოებს** **სახელმწიფო** **გამომცემლობაში** (ლორის-**მელიქოვის,** № 5), **დილის** 9 **საათიდან** **დღის** 3 **საათამდე.**

მიიღება ხელის მოწერა

1922 წლისათვის, გაზეთ

„მიწის მუშა“-ზე

გაზეთი **გამოდის** **კვირაში** **ორჯერ:** **ორშაბათ-ხუთშაბათობით.** **თვეში** **ღირს** **40,000** **მანეთი,** **ფულის** **გადახდა** **წინდაწინ** **არის** **საჭირო.**

პარტიულ **და** **საბჭოთა** **დაწესებულებებს** **გაზეთი** **დაეთმობათ** **30,000** **მანეთათ** **თვეში.**

გამოწერა **შეიძლება** **შემდეგი** **მისამართით:** **თბილისი,** **გრიბოედოვის** **ქუჩა** № 19, „**მიწის** **მუშას**“. 3—5

პარტიული.

საქართველოს **კომპარტიის** **მე** 4 **რაიკომის** **პრეზიდიუმი** **აცხადებს** **ამავე** **რაიონის** **ყველა** **იაჩეიკათა** **მდივნების** **საყურადღებოდ,** **რომ** **ხუთშაბათს,** 26 **იანვარს,** **დღით** 12 **საათზე,** **რაიკომის** **შენობაში** **შესდგება** **იაჩეიკების** **მდივანთა** **თათბირი.** **დღის** **წესრიგში** **სდგას** **შემდეგი** **საკითხები:** **მე-4** **რაიონის** **პარტიულ** **აღწერის** **გატარება.** **ყველა** **მდივანთა** **გამოცხადება** **სავალდებულოა.**

პროფესიული

— **დღეს,** 25 **იანვარს** **საღამოს** 6 **საათზე** **ს.** **პ.** **კ.** **ს.** **მცირე** **დარბაზში** **მოწვეულია** **საბჭოების** **მუშაკთა** **პროფ** **კავშირის** **დელეგატების** **ქალაქის** **კონფერენცია.**

კონფერენციის **დელეგატთა** **კომ-ფრაქციის** **კრება** **დანიშნულია** **დღეს** **საღამოს** 4 **საათზე** **კავშირის** **ბინაზე.**

ამხ. **დასწრება** **პარტდისციპლინის** **ძალით** **აუცილებელია.**

— **სახ.** **კვების** **მომუშ.** **კავშირის** **წევრთა** **საერთო** **კრება,** **რომელიც** **უნდა** **შემდგარიყო** **ორშაბათს,** 23 **იანვარს,** **გადატანილია** **ოთხშაბათისთვის,** 25 **იანვრისათვის.**

კრება **კანონიერათ** **ჩაითვლება,** **რამდენი** **წევრიც** **არ** **უნდა** **დაესწროს.**

სახ. **კვების** **კავ.** **პრეზიდიუმი.**

საბჭოთა

— **ქ.** **ტფილისის** 1 **უბნის** **სახალხო** **მოსამართლე,** **იწვევს** **ერვან** **ანტონის** **ძე** **კაგაროვს** **სასამართლოში,** **სასამართლოს** **ქუჩაზედ** № 32, **მის** **განქორწინების** **შესახებ** **თავის** **ცოლთან** **მარინა** **აპოლონის** **ასულ** **კაგაროვთან** (**დაბადებით** **კანტაკუზენთან**).

სახალხო **მოსამართლე:** **ა.** **ჩაჩავა.**